

# HELLO! GEORGIA

#014 • სექტემბერი 2017 • 4.00₾

ISSUN 2449-2590

ნიკა ცქიტიშვილი და სოფო გოგებაშვილი
მესამე შვილის მოლოდინში

WEDDING *Special*
+510
საქორწილო იდეა

ევა მორეონი
„სამეფო კარის თამაშების“ საიდუმლო სახელი

მირანდა კერი
გლამურული ქორწილის ექსკლუზიური დეტალები

# BIANCA BALTI
იტალიური ქორწილი ამერიკაში


faberlic
faberlic.com


ტექნოლოგია
4D TARGET
შექმნილია ჟანგბადის დრონების ფუძეზე, უზრუნველყოფს მიზანმიმართულ ზემოქმედებას კანის უჯრედებზე 4 მიმართულებით
faberlic
OXIOLOGY
OXYGEN COSMETICS
4D TARGET INNOVATION
ЛЕГЕНДАРНЫЙ КИСЛОРОД
КИСЛОРОДНЫЙ БАЛЬЗАМ
OXYGEN BALM
კანი სუნთქავს და ივსება სიცოცხლითა და და ნათელი ფერით
აჯერებს კანის უჯრედებს ჟანგბადით
ასტიმულირებს უჯრედებში ენერგიის მაქსიმალურ გამომუშავებას
იცავს თავისუფალი რადიკალებისგან
აძლიერებს მიკროცირკულაციას
FABERLIC-ის ლაბორატორიის ინოვაცია
OXIOLOGY™
OXYGEN COSMETICS
თქვენი კანის ღრმა სუნთქვა
6+ რეკლამა
შპს "ფაბერლიკი-საქართველო", საქართველო, ქ. თბილისი, გ. გეგეჭკორის ქ.18

# რედაქტორის წერილი




*დასრულდა თავგადასავლებითა და ეგზოტიკური მოგზაურობებით აღსავსე ზაფხული და ჩვენც ახალი, საშემოდგომო ნომრით დაგიბრუნდით. იმედი მაქვს, ჩვენი რჩევებისა და რეკომენდაციების დახმარებით, დაუვიწყარი შვებულება გაატარეთ და ეს განწყობა ქალაქში დაბრუნებულებსაც გამოგყვათ*

მოგეხსენებათ, შემოდგომა საქორწილოდ იდეალური პერიოდია და სწორედ ამიტომ HELLO!-ს სექტემბრის ნომერი მომავალი პატარძლებისთვის ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს. ჩვენი ფურცლებიდან შეიტყობთ, როგორი სტილის სადედოფლო კაბებია მოდური, როგორ შეუხამოთ ამ ყველაფერს ტრენდული სამკაული და აქსესუარები, და როგორ აქციოთ ეს უბედნიერესი დღე კიდევ უფრო დაუვიწყარ მოგონებად.

ცხადია, საქორწილო ნომერი REAL LIFE პატარძლების გარეშე ვერ ჩაივლიდა. ჩვენი ჟურნალის მეშვეობით, იტალიელი სუპერმოდელის – **ბიანკა ბალტის** ქორწილის ექსკლუზიურ დეტალებს შეიტყობთ და ულამაზესი ფოტოებითაც დატკბებით.

ბიანკასთან ერთად, შეხვდებით ქართველ ვარსკვლავებსაც – ყველაზე სასურველ საპატარძლოებსა და სასიძოებს ჩვენი ფოტოსესიის ფარგლებში „**შატო მუხრანი**“ მასპინძლობს. ახალდაქორწინებული მოდელი **ელენე მახარაშვილი** კი სანაპიროზე გამართული ულამაზესი ცერემონიალის დეტალებს გაგვაცნობს.

მივადექით LIFESTYLE-ის ბლოკს, სადაც ცხადია ძირითადი თემა კვლავაც საქორწილო ციებ-ცხელებაა. წამყვანი დიზაინერების ჩვენ მიერ შერჩეული კოლექციები ნებისმიერი პატარძლისთვის გახდება იდეალური დამხმარე სასურველი კაბის ძიების მძიმე და საკმაოდ სტრესულ საკითხში. სანამ მთავარ თემაზე გადავალთ, ორიოდე სიტყვით საშემოდგომო გარდერობის განახლებაზეც მოგახსენებთ.

სექტემბერი მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საკვანძო თვეა. ეს პერიოდი იდეალურია ახალი სამოსისა და აქსესუარების შესაძენად. სწორედ ამიტომ, ჩვენი მოდის რედაქტორი მსოფლიო პოდიუმებზე დაყრდნობით შედგენილ მომავალი 3 თვის მოდურ ტენდენციებს გაგაცნობთ, რათა გარდერობის განახლებისთვის საჭირო აუცილებელი ინსპირაცია და განწყობა გადმოგცეთ.

საკმაოდ დიდი დრო დავუთმეთ საქორწილო აქსესუარების, სამკაულების, გვირგვინებისა და მოდური დეტალების შერჩევასაც, რათა მომავალ პატარძლებს საქმე შევუმსუბუქოთ.

ვფიქრობ სექტემბრის ნომერი იდეალური გზამკვლევი გახდება როგორც მომავალი პატარძლებისთვის, ასევე მათთვის, ვინც მეგობრის ქორწილისთვის ემზადება. საკმაოდ სახალისო საკითხავთან ერთად, ბევრ საინტერესო ინფორმაციასაც გიტოვებთ და იმედი მაქვს, შემოდგომის წვიმიან ამინდებში HELLO! თქვენთვის კვლავაც იქნება შეუცვლელი მეგობარი. გემშვიდობებით ოქტომბრამდე.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი


გვ. 84


გვ. 58


გვ. 90


გვ. 32


გვ. 110





ლოტუსი
აფაქიძის ქ. 11, თბილისი; ტელ.: 995 (032) 2 903 803
www.delfycosmetics.com DelfyCosmetics Delfycosmetics

HELLO! GEORGIA
# 014 • სექტემბერი • 2017

# სარჩევი





ევა მორეონი 8



ელენე და ირაკლი 36

66 DIOR-ის მოდის სახლი 70 წლისაა



ნიკა და სოფო 18

## ვარსკვლავური ისტორიები

8 **ევა მორეონი** – „სამეფო კარის თამაშების“ საიდუმლო სასახლე
18 **ნიკა ცქიტიშვილი** და **სოფო გოგებაშვილი** მესამე შვილის მოლოდინში
26 **სერგი რიგვავა** – მოდელი, რომელზეც ყველაზე დიდი მოთხოვნაა
32 **ბიანკა ბალტის** იტალიური ქორწილი ამერიკაში
36 **ელენე მახარაშვილისა** და **ირაკლი კვირიკაძის** ქორწილის დეტალები
38 **მირანდა კერი** საქორწინო ფიცითა და DIOR-ის კაბით, წვეულების დეტალებზე საუბრობს
46 სასურველი **ქართველი საპატარძლოები** და **სასიძოები**

## მუდმივი რუბრიკები

16 **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!
28 **PANORAMA** – მაიკ პენსი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია
30 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა
42 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან
114 **HALF HOUR** – ნია მოძმანაშვილი და ნიკა კაცია

დასაწ. 57 გვ.-დან

**lifestyle**

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია



Christian
BRETON
PARIS

საუცხოო სახის ზეთი

- ატენიანებს კანს
- ამცირებს ნაოჭებს
- მატებს კანს ელასტიურობას
- იცავს კანს გარე გამაღიზიანებლებისგან

N°1 Eye Care




ჯპს

ექსკლუზიურად ჯიპისის სააფთიაქო ქსელში

# „სამეფო კარის თამაშების“ დაბრუნებასთან ერთად

# ევა მორეონი

# ჯადოსნურ სასახლეში გვეპატიჟება





ევა მორეონი სწორედ იმ ადამიანს ჰგავს, საუკუნეების წინ მნიშვნელოვან ბრძოლებში გამარჯვებას რომ შეძლებდა. „მე არასოდეს ვნებდები!“ – მხიარულად ამბობს „ალმოდოვარის“ დიასახლისი და ესპანეთის ყველაზე შთამაგონებელ სასახლეში ამაყად გვეპატიჟება...

უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ეს შენობა მომგებიან ბიზნესად გადაიქცა. ალმოდოვარ-დელ-რიოში, რომელიც ანდალუსიაში – კორდოვას პროვინციაში მდებარეობს, შორიდანვე შენიშნავთ მირაჟულ კედლებსა და მრგვალი ფორმის სახურავებს. უკვე მეოთხე საუკუნეა, ამ სიმდიდრეს ევა მორეონის მეუღლის – ფერნანდო სოლისის ოჯახი ფლობს. ნანგრევებიდან აღდგენილი და 1901-1936 წლებში რეაბილიტირებული სასახლე ახლა მათი მშობლიური სახლია. „ამ კედლებს, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა“, – გვეუბნება ევა და ქვემოთ მდებარე მდინარისკენ მიგვითითებს. სწორედ ამის გამოა, რომ „ალმოდოვარს“ ▶





ევა ცნობილი „ალმოდოვარის“ წინ პოზირებს. სასახლე ესპანეთის ქალაქ ალმოდოვარ-დელ-რიოში, ამაღლებულ ადგილასაა აშენებული. მისი მრავალფეროვანი ისტორია ბევრ საინტერესო სტუმარს ინახავს, თუმცა უკანასკნელი „დამპყრობელი“ ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული სერიალის – „სამეფო კარის თამაშების“ შემოქმედებითი ჯგუფია.

„ჩვენ „სამეფო კარის თამაშების“ დიდი გულშემატკივრები ვართ და შემოთავაზებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ კონფიდენციალურობის დაცვა მკაცრად მოგვეთხოვებოდა“



**„სასახლეზე ზრუნვა ჩვენთვის უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. ეს არის ჩვენი ოჯახის განძი და მემკვიდრეობა, რომელიც მომავალ თაობებს უნდა შემოვუნახოთ“**



**სასახლის მისაღებ ოთახში ფეოდალური ეპოქის ამსახველი ჯადოსნური დეტალებია მოქცეული. აქვეა სკივრი შუა საუკუნეებიდან და „რკინის ჯარისკაცი“ (ქვევით), რომელიც დერეფნისკენ მიმავალ გზას „იცავს“.**

ბევრი ბრძოლა აქვს გადატანილი და მე-14 საუკუნეში სამეფო რეზიდენციის სტატუსსაც ითავსებდა. დღეს მასზე მთელი მსოფლიო საუბრობს, იმიტომ, რომ სწორედ ამ სასახლემ უმასპინძლა „სამეფო კარის თამაშების“ ახალ სეზონს. „ჩვენ „სამეფო კარის თამაშების“ დიდი გულშემატკივრები ვართ და შემოთავაზებამ ძალიან გაგვახარა“, – იხსენებს ევა, – „მაგრამ კონფიდენციალურობის დაცვა მკაცრად მოგვეთხოვებოდა“.

„ალმოდოვარი“ ზოგჯერ ქორწილებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კონფერენციებსაც მასპინძლობს. რასაკვირველია, აქვე აღინიშნა ევასა და მისი არისტოკრატი მეუღლის გრანდიოზული ქორწილი, რომელმაც 2013 წელს მთელი ესპანეთი მონუსხა. მოკლედ, ევა თავად გაგვაცნობს „სამეფო კარის თამაშების“ ახალ მთავარ გმირს – სასახლე „ალმოდოვარს“.

**ევა, ასეთი ადგილის შენახვა, ალბათ ძვირი ჯდება, თან - არა მხოლოდ ფინანსურად...**

ე.მ. რა თქმა უნდა. მასზე ზრუნვა ჩვენთვის უზარმაზარი პასუხისმგებლობაა და ამას ბევრი მიზეზი აქვს. უპირველესად, როცა ამ განძს ოჯახის ამდენი თაობა უფრთხილდებოდა, ვალდებულებიც კი ვართ, მოვუფრთხილდეთ და უვნებლად შემოვინახოთ. გარდა ამისა, ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ. სწორედ ამიტომ, ყურადღებას უმცირეს დეტალებსაც კი ვაქცევთ. თითოეულ სტუმარზე ვზრუნავთ და ვცდილობთ, სასახლიდან ყველა ბედნიერი და კმაყოფილი წავიდეს. გვინდა ყველას ისე დავხვდეთ, რომ ჩვენთან დაბრუნების სურვილი წასვლისთანავე გაუჩნდეთ.

**ცოტა ხნის წინ შუა საუკუნეებიც გააცოცხლეთ...**

ე.მ. დიახ, ასე იყო. სულ ახალ-ახალი იდეები გვაწუხებს. ორი დღის განმავლობაში მთელმა სასახლემ მე-14 საუკუნეში გადაინაცვლა და სტუმრები დროში ამოგზაურა. ძალიან სახალისოა იმის გათავისება, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადრე ადამიანები და რას აკეთებდნენ – რას აცხობდნენ, რას ჭამდნენ, როგორ იცვამდნენ... ყველაზე მეტად ბავშვებმა ისიამოვნეს. გარდა ამისა, წამოვიწყეთ ღამის ვიზიტებიც, რომლებიც სავსეა მისტიკითა და ჯადოსნური შეგრძნებებით. მომდევნო ღამის ვიზიტი ოქტომბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. ასევე, ვგეგმავთ წვეულებას, რომელიც კოსტიუმებში გამოწყობილ მსახიობებს უმასპინძლებს. სტუმრებს ნეოგოთიკურ სასახლეში ▶



საგვარეულო გერბი, რომელიც ევას უკან მოჩანს, ფერნანდოს წინაპარმა – ტორალვამ შექმნა. მისივე დამსახურებაა სასახლის რეაბილიტაცია, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში განახორციელა.



„ძალიან მიყვარს კეიტ მიდლტონი – იმიტომ, რომ ზუსტად იცის, როგორ უნდა შეინარჩუნოს საკუთარი თავი... თანაც – ყოველთვის იღიმის“

ადვოკატი და ორი შვილის დედა სასახლის მართვით დიდ სიამოვნებას იღებს. სწორედ ამ თანამედროვე დიასახლისის დამსახურებაა შუასაუკუნოვანი წვეულება და ღამის ვიზიტები, რომლებიც სავსეა მისტიკითა და ჯადოსნური შეგრძნებებით.





საბანკეტო დარბაზი დედოფლისთვისაა განკუთვნილი. ის დრაკონების დედამ – დეიენერის ტარგარიენმაც „მოირგო“ (მარჯვნივ: ემილია კლარკი ფანტასტიკურ დრამაში „სამეფო კარის თამაშები“).

შესვლაც შეეძლებათ, რაც უმეტესწილად შეუძლებელია ხოლმე – ვიზიტორებისთვის თითქმის ყოველთვის დაკეტილია. შედარებით მცირემასშტაბური ღონისძიებებისთვის განახლებული ტერასა გვაქვს, საიდანაც თვალწარმტაცი ხედები იშლება. სასახლის დარბაზი კი 600-მდე ადამიანს იტევს!

**სასახლის მართვაში თქვენც ჩართული ხართ?**

**ე.მ.** დიახ. პაბლო დე ოლავიდეს უნივერსიტეტში სამართალს, ადმინისტრირებასა და ბიზნესის მენეჯმენტს ვსწავლობდი. ადვოკატი ვარ, მაგრამ ამ კუთხით ხშირად ვერ ვსაქმიანობ, იმიტომ, რომ ძირითადად ბიზნესში გახლავართ ჩართული. სასახლეში შემთხვევით მოვხვდი. სტუდენტობის ბოლო წელს ბიზნესის ადმინისტრირებას ვსწავლობდი და ფერნანდოს სასახლის თაობაზე რამდენიმე რჩევა მივეცი. ნელ-ნელა „ალმოდოვარის“ მართვაში ჩავიძირე. ესპანეთში ტურისტული ასოციაციაც კი გავხსენი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სასახლეებისა და მათი ძვირფასი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ემსახურება. ამჟამად, ჩვენთან გაერთიანებულნი არიან ბელმონტის, სანტიაგოს, კანენასა და მონკლოვას ▶



„სტილი ტანსაცმელს კი არა, შენს ხასიათსა და განწყობებს უნდა გამოხატავდეს“

სასახ-ლეები. მოკლედ, ყველანაირად ვცდილობ ჩემს მეუღლეს დავეხმარო და ყურადღება არც მამაჩემის სახლს მოვაკლო.

**ფერნანდოს როგორ შეხვდით?**
**ე.მ.** ერთმანეთს ზუსტად იმ ადგილას გადავეყარეთ, სადაც ჩემი მშობლები შეხვდნენ. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ორივენი ვმორცხვობდით, მაგრამ ყველაფერი გადავლახეთ და ურთიერთობა ავაწყვეთ. დაოჯახებამდე ერთმანეთს ხუთი წლის განმავლობაში ვხვდებოდით. ჩვენი მეორე შვილი სულ რაღაც ოთხი თვის წინ დაიბადა, პირველი კი – იზაბელი – უკვე ორი წლისაა.

**თქვენს პერსონალურ სტილზე რას იტყვით?**
**ე.მ.** ძალიან მომწონს მოდის უახლესი ტრენდების თვალიერება, მაგრამ ვიცვამ იმას, რასაც ვიხდენ, და არა მაინცდამაინც იმას, რაც მოდაშია. მიმაჩნია, რომ სტილი ტანსაცმელს კი არა, შენს ხასიათსა და განწყობებს უნდა გამოხატავდეს.

**ვინ არის თქვენთვის დახვეწილი სტილის საუკეთესო მაგალითი?**
**ე.მ.** ძალიან მიყვარს კეიტ მიდლტონი – იმიტომ, რომ ზუსტად იცის, როგორ უნდა შეინარჩუნოს საკუთარი თავი... თანაც – ყოველთვის იღიმის. H

**ტექსტი**: INES DOMECQ & LAURA VECINO
**ფოტო:** CHESCO LOPEZ
**მაკიაჟი:** MANUEL CECILIO
**სამოსი:** ANTONIO GARCIA, BIMBA Y LOLA, CHRISTIAN DIOR RESORT COLLECTION, DAVID CHRISTIAN, ISABEL NUÑEZ, JORGE-VAZQUEZ. JUAN VIDAL, UTERQUE, ZARA
**ფეხსაცმელი**: AQUAZZURA, MOLE MOLE, STEVE MADDEN
**სამკაული**: & OTHER STORIES, ARISTOCRAZY, CONVERSE, CUPLE, TOUS
**დამატებითი ფოტოები**: HBO ENTERPRISES, PABLO BUSTILLO, SKY TV

ევა, რომელმაც მეორე შვილი ოთხიოდე თვის წინ გააჩინა, სასახლის ბაღებში დასეირნობს. იმ ქორწინების გამო, რომელიც 2013 წლიდან ფერნანდო სოლისთან (მარჯვნივ) აკავშირებს, ის სასახლის ღირსეული დიასახლისია და ყველა სტუმარს ხელგაშლილად და გულღიად მასპინძლობს.






ღრუბელი
ორთქლის ქარხანა
#ღრუბელიგემრიელია
ღრუბელიუვნებელია
#ღრუბელივაკე
ი. აბაშიძის 38
#ღრუბელისაბურთალო
მ. კოსტავას 76
#ღრუბელივერა
მ. კოსტავას 23
#ღრუბელითბილისიმოლი
#ღრუბელიგორი
სმარტი
#ღრუბელიფრესკოვაჟაზე
#ღრუბელიბათუმი
ghrubeli
ghrubeliofficial






# საკაბელო არხების ქსელმა HBO „მძევლები“ შეიძინა

ამერიკულმა საკაბელო სატელევიზიო **არხების ქსელმა HBO** რეჟისორ **რეზო გიგინეიშვილის** ფილმი „**მძევლები**“ შეიძინა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც **HBO**-მ ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი შეიძინა. ცოტა ხნის წინ **HBO EUROPE**-მაც გაასაჯაროვა იმ ფილმების სია, რომელთა სატელევიზიო პრემიერა მათ ეთერში შედგება. ფილმებს შორის თვითმფრინავის ბიჭებზე გადაღებული ისტორიაც მოხვდა. „**მძევლებზე**“ მუშაობა რეჟისორმა **რეზო გიგინეიშვილმა** დაახლოებით რვა წლის წინ დაიწყო. სცენარის ავტორი **ლაშა ბუღაძე** სამუშაო პროცესში სამი წლის წინ ჩაერთო. კინოსურათში მთავარ როლებს ბევრი დამწყები მსახიობიც ასრულებს. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებისთვისაც „**მძევლები**“ სადებიუტო ფილმია. ფილმის საპრემიერო ჩვენება **ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე** შედგა.

მაყურებლებმა **რეზო გიგინეიშვილის** ნამუშევარი წლის კინოაღმოჩენად შეაფასეს. „***ვიზუალურად ამ ყველაფრის შექმნა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. როდესაც საბჭოთა თვითმფრინავის აწყობა დავიწყეთ, მივხვდით, რომ წინ სერიოზული სამუშაო გველოდა. ეპოქალურად ყველაფერი მიმსგავსებული უნდა ყოფილიყო რეალურ მოვლენასთან, თუმცა კონტექსტუალურად ჩვენთვის მთავარი არა იარლიყების ჩამოკიდება, არამედ ამ ხალხის ტკივილის ბოლომდე გათავისება იყო***“, – აღნიშნავს HELLO!-სთან საუბარში ფილმის რეჟისორი **რეზო გიგინეიშვილი.**

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე. **ფოტო**: HOSTAGES.



# თინა მახარაძის „ამერიკული ოცნება“

პოპულარული ტელესერიალის „**ჩემი ცოლის დაქალები**“ მსახიობი **თინა მახარაძე** ახალ პროფესიას ეუფლება. იგი უკვე ნიუ-იორკის უნივერსიტეტის, კერძოდ – **ბრუკლინ კოლეჯის FEIRSTEIN GRADUATE SCHOOL OF CINEMA**-ს სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტია.

მსახიობის სიტყვებით, რეჟისორობა ყოველთვის სურდა, თუმცა უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების დრო რომ დადგა, აირჩია „სამსახიობო, რადგან საკუთარი თავის პრეზენტაცია საწყის ეტაპზე მსახიობის ამპლუაში“ ერჩივნა.

**FEIRSTEIN GRADUATE SCHOOL OF CINEMA** რამდენიმე წლის წინ გაიხსნა. სკოლას მრჩეველთა საბჭოს ისეთი შთამბეჭდავი წევრები ჰყავს, როგორებიც არიან **დარენ არანოვსკი**, **სტივენ სოდერბერგი** და **ითან ჰოუკი**.

„***ნიუ-იორკი საავტორო კინოს ქალაქია. შესაბამისად, ეს უნივერსიტეტი გარკვეულწილად ემიჯნება ჰოლივუდს***“, - აღნიშნავს თინა.

საავტორო დამოუკიდებელი კინო თინას ინტერესი და უდიდესი სიყვარულია. „***აქ ზუსტად იმ კინოს ასწავლიან, რომელიც მე მიყვარს. კონკრეტულად კი, ორიენტირებულნი არიან ინდი-კინოზე***“, - ამბობს მსახიობი. თინამ დაფინანსება უპირველესად უშუალოდ სკოლისგან მიიღო, თუმცა იცოდა, რომ უნივერსიტეტი უცხოელი სტუდენტებისთვის გრანტებს არ გასცემდა.

„***ბოლო ეტაპზე, გასაუბრება მქონდა სკოლის დამფუძნებელთან და დირექტორთან, ვეტერან რეჟისორ ჯონათან ვაქსთან. სტიპენდია პირადად ამ ადამიანის გადაწყვეტილებით დამენიშნა. გასაუბრებიდან ერთ საათში მან წერილობით პირადად მაცნობა ამის შესახებ***“, – იხსენებს თინა.

პარალელურად თინამ მონაწილეობა განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებულ კონკურსში მიიღო, სადაც გაიმარჯვა. შესაბამისად, მან სახელმწიფოსგან მომდევნო სამი წლის სწავლის დაფინანსება მოიპოვა.

„***ზუსტად ვიცი, რომ იმ ხარისხისა და სპეციფიკის განათლებას მივიღებ, რომელიც ასე მჭირდება და შემდგომში დამეხმარება ჩემი საქმე ძალიან ხარისხიანად ვაკეთო. დარწმუნებული ვარ, სამი წლის შემდეგ ჩემს კარიერაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყება***“, – ასე ასრულებს თინა მახარაძე საუბარს ქართულ HELLO!-სთან. ჩვენ წარმატებას და წინსვლას ვუსურვებთ თინას! იგი თავისი „ამერიკული ოცნების“ ახდენის ზღვარზეა.

**ტექსტი**: ლელუ კახიანი. **ფოტო**: თითი ნიკა.




# ჭეშმარიტად ქართული გასტრონომიული მოგზაურობა

ავთენტური ქართული სამზარეულო საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი პიკანტური თავისებურებებით აქ ფრთებს შლის. ექსკლუზიური ქართული და ევროპული ღვინო-ების ფართო არჩევანი კი სწორედ ის არის, რაც აქ, მსოფლიო კულტურების, რელიგიებისა და ცივილიზაციების თანხვედრის ცენტრში შეიძლება დააგემოვნოთ.

## ღვინის რესტორანი ძველი თბილისის გულში

2017 CERTIFICATE of EXCELLENCE tripadvisor

რკინის რიგი #6, თბილისი; +995 599 25 06 25; +995 32 2 75 10 38

/tiflismeidani Tiflis Meidani /tiflismeidani



„ბობი ჩვენი მესამე შვილია. ორი თვის იყო, როცა ბულგარეთიდან ლიბანში ჩამოვგვიყვანეს და მას შემდეგ წუთითაც არ მოგვშორებია. საქართველოში დაბრუნებისას, ისიც ყოველთვის თან მოგვყავს“

# ყველაზე ძვირფასი სამეუღლიანი
# ნიკა ცქიტიშვილი და სოფო გოგებაშვილი
## ცხოვრება კალათბურთის მოედნის მიღმა

ოთხი წლის წინ დაოჯახდნენ. ბოლო ოთხი წელია ნიკა სპორტულ კარიერას „ბაჰრეინის“ გუნდში აგრძელებს, სწორედ ამიტომ, ოჯახთან ერთად ლიბანში ცხოვრობს და საქმიანობს. ნიკა და სოფო დატვირთული სამუშაო წლის შემდეგ, ზაფხულის დადგომისთანავე სამშობლოში ბრუნდებიან და არდადეგებს ოჯახურ გარემოში, საქართველოში ატარებენ. წლევანდელი ზაფხული მათთვის განსაკუთრებულია. სულ ახლახან შეიტყვეს, რომ მესამე შვილს ელოდებიან. ექვსი წლის ლიზისა და ოთხი წლის ელენეს, მალე ახალი დედმამიშვილი შეემატება. სასიხარულო სიახლის, ოჯახური ცხოვრებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, წყვილი HELLO!-ს ესაუბრა.

**როგორ გაატარეთ ზაფხული? ყოველ წელს ჩამოდიხართ საქართველოში დასასვენებლად?**

**ნ.ც.** მას შემდეგ, რაც დავოჯახდი და ასაკი შემატება, გული სულ უფრო მომიწევს სამშობლოსკენ. ბოლო წლებია საქართველო განსაკუთრებულად მენატრება. ალბათ არაბეთსა და აზიაში ცხოვრებამ განაპირობა ის, რომ აქაურ ბუნებას, ჰაერს, კულტურასა და ხალხს სულ სხვანაირად ვაფასებ. ვცდილობ მთელი ზაფხული აქ, მონატრებულ გარემოში, ჩემს ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად გავატარო.

**ს.გ.** ნიკამ წელს იტალიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა შემომ- ►



„კალათბურთში ჩემს წარმატებას ოჯახი განაპირობებს“



ფოტო: DOTS; AVTANDIL.

„ოჯახმა რადიკალურად შემცვალა. ყოველთვის, როცა ვვარჯიშობ ან თამაშზე ვარ, ერთი სული მაქვს შინ მალე მივიდე, ცოლ-შვილს მოვეფერო და მათთან ერთად რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო“.



## „ოჯახი ჩემთვის უმთავრესია. სოფო და ბავშვები არიან ჩემი სტიმული, მომავლის იმედი და მთავარი მამოძრავებელი ძალა“

თავაზა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერზე უარი ვთქვით და დასასვენებლად, მაისის ბოლოს, სამშობლოში ჩამოვედით. მინდოდა მთელი ზაფხული საქართველოში ვყოფილიყავი, რადგან ვიცი, რომ უკან მალე უნდა წავიდეთ და აქაურობა ძალიან მომენატრება.

**ადვილად მიეჩვიეთ ლიბანში ცხოვრებას?**

ნ.ც. ბოლო შვიდი წელია აზიასა და არაბეთში ვთამაშობ. იქ ახალი კონტრაქტის გაფორმება ახალი სეზონის დაწყებისას ხდება. უკვე მაქვს შემოთავაზებები ისრაელიდან და საბერძნეთიდან, თუმცა თანამშრომლობას ალბათ ისევ აზიასთან გავაგრძელებ, რადგან თავს იქ ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. ევროპის ქვეყნებთან შედარებით, იქ სხვა პირობებია და მეც ჩემი შესაძლებლობები აღარავისთვის მაქვს დასამტკიცებელი.

ს.ც. ლიბანში ჩვენთვის ყველაფერი უკვე იმდენად შინაური და ახლოა, რომ იქაურობას „მეორე სახლს“ ვეძახით. ლიბანში ცხოვრება ძალიან ჰგავს ქართულ ცხოვრებას – მართლმადიდებლური მხარეა, ბევრი ქრისტიანული ეკლესია-მონასტერია და ხშირად დავდივართ დასათვალიერებლად. იქაური მეგობრებიც გვყავს, აქტიური ცხოვრების წესით ვცხოვრობთ და თითქმის არასოდეს ვისვენებთ.

**ბავშვები როგორ მიეჩვივნენ გარემოს?** ▶

„ძალიან ოჯახის კაცი ვარ. ყველას უკვირს, თუმცა რაც ოჯახი შევქმენი, 360 გრადუსით შევიცვალე. ეს ყველაფერი კი იმან განაპირობა, რომ სანამ დავოჯახდებოდი, ისეთ წარმატებებს მივაღწიე, ზოგჯერ თვითონაც მიკვირს“.



„ექვსი წლის ასაკიდან, პაუზის გარეშე, ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავე ვიყავი. დღეს პროფესიონალი აღარ მქვია, რადგან აქტიური მოცეკვავე აღარ ვარ“

ს.გ. ლიბანში ნიკა უზომოდ უყვართ, დიდ პატივს სცემენ და აფასებენ. შესაბამისად, ბავშვებიც მუდამ ყურადღების ცენტრში არიან. მათაც ძალიან უყვართ იქაურობა. პატარა ბაღში დადის, უფროსი კი ამერიკულ სკოლაში დაგვყავს. ნიკა დღის მანძილზე ვარჯიშზეა, ბავშვები – სკოლაში. თავისუფალ დროს მეც ვვარჯიშობ. მოკლედ, გამუდმებით რეჟიმში ვართ. ხშირად გვაკითხავენ თბილისიდან სტუმრად ოჯახის წევრები და ნათესავები. ერთი სიტყვით, პატარა საქართველო გვაქვს მოწყობილი.

**რთულია სპორტსმენის მეუღლეობა?**

ს.გ. სპორტსმენის ცოლობა ცალკე პროფესიაა. ძალიან რთულია, თუმცა უკვე მივეჩვიე და აქეთ-იქით სიარული აღარ მიჭირს. თავიდან, როცა ნიკას გასვლითი თამაშები ჰქონდა და 3-4 დღით მარტო დარჩენა მიწევდა, ძალიან მიჭირდა. ახლა უკვე ბავშვები და ძაღლი მოწყენის საშუალებას არ მაძლევენ. დიდი მხიარულება გვაქვს ხოლმე.

ნ.ც. მუდამ ვარჯიშზე ვარ. ზოგჯერ გასვლითი თამაშები მაქვს, დატვირთული ვარ და ამის გამო შესაძლოა იმდენი დრო ვერ დავუთმო ოჯახს, რამდენიც უნდა დაუთმოს ქმარმა ცოლს. მინდა ჩემი შვილები ჩემთან ერთად გაიზარდონ. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაში დამეხმარა აზია და არაბეთი. აქ შედარებით მოქნილი გრაფიკი მაქვს, თავისუფალ დროს ყოველთვის ოჯახთან ერთად ვატარებ.

**რთული გრაფიკი გაქვთ?**

ნ.ც. დღის მანძილზე ევროპასთან შედარებით აქ ნაკლები დატვირთვაა – ყოველდღე 2-3-საათიანი

**„ჩემი პირველი ფანები ესენი არიან, ყოველთვის ვგრძნობ მათ მხარდაჭერას. მოედანზე მათი დანახვისთანავე სტიმული მეძლევა, ბედნიერების განცდა მემატება და კარგ გუნებაზე ვდგები, თან მე ძალიან „განწყობის“ მოთამაშე ვარ და ამით „ვიქოქები“. თამაშს თუ არ ესწრებიან, სათანადო ტონუსში არ ვარ.“**





**„ნიკა ბავშვების გაზრდაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. საუკეთესო მეუღლე და მამაა. მასთან ერთად, მეც არ მიჭირს ბავშვების მოვლა“**




ვარჯიში მიწევს, მაგრამ უკვე თამაშის დროს, ადგილობრივ მოთამაშეებთან შედარებით, უცხოელზე მთელი გარდატეხა და ზემოქმედებაა. მოედანზე 40 წუთი შეუცვლელად თამაში გვიწევს. მოკლედ, ჩვენი მოსაგებია. სხვათა შორის, ბოლო დროს აზიის ლიგა ძალიან დაიხვეწა. ლიბანიც გამორჩეულია.

**სოფო და ბავშვები დადიან ხოლმე თამაშზე საგულშემატკივროდ?**

**ნ.ც.** ჩემი პირველი ფანები ესენი არიან, ყოველთვის ვგრძნობ მათ მხარდაჭერას. მოედანზე მათი დანახვისთანავე სტიმული მეძლევა, ბედნიერების განცდა მემატება და კარგ გუნებაზე ვდგები, თან მე ძალიან „განწყობის“ მოთამაშე ვარ და ამით „ვიქოქები“. თამაშს თუ არ ესწრებიან, სათანადო ტონუსში არ ვარ.

**ს.გ.** ძალიან ემოციური ქომაგი გახლავართ და არცერთ თამაშს არ ვტოვებ. ბავშვებიც მუდამ თან დამყავს. ღამის თერთმეტ საათზეც რომ იყოს თამაში, მაინც მიმყავს. ნიკაც ყოველთვის მეუბნება – ბავშვები რომ არ მოგყავს, ვაგებო.

**ნიკა მამობამ შეცვალა?**

**ნ.ც.** კი, ძალიან შეცვალა. ადრე თუ მხოლოდ კალათბურთი იყო მისი ცხოვრება, ახლა უფრო მეტ რამეზე ფიქრობს. თან ხომ იცით – გოგონები მამისთვის სხვა შეგრძნებაა, ძალიან მზრუნველია.

**გეხმარებათ ბავშვების გაზრდაში?**

**ს.გ.** სპორტსმენის გრაფიკი და ბავშვების გაზრდა ერთად ცოტა რთულია, თუმცა მარტო ვცხოვრობთ და ცდილობს ყველანაირად ჩემ გვერდით იდგეს, მომეხმაროს – ბავშვების გასეირნება იქნება ეს, საყიდლებზე წასვლა თუ სხვა. ერთადერთი, საჭმელს ვერ ვანდობ.

**ნიკა მეოჯახე ხართ?**

**ნ.ც.** ძალიან ოჯახის კაცი ვარ. ყველას უკვირს, თუმცა რაც ოჯახი შევქმენი, 360 გრადუსით შევიცვალე. ეს ყველაფერი კი იმან განაპირობა, რომ სანამ დავოჯახდებოდი, ისეთ წარმატებებს მივაღწიე, ზოგჯერ თვითონაც მიკვირს. ბევრი ქვეყანა ვნახე და ბევრიც გავერთე. ახლა ▶



**„მთელი ოჯახი მოუთმენლად ველოდებით მესამე ბავშვის დაბადებას. ელენეს და ლიზის ერთი სული აქვთ, მალე გაიცნონ და მოგვეხმარონ დაიკოს ან ძამიკოს გაზრდაში“**

მეუღლე, ბავშვები და ოჯახში ფუსფუსი ჩემთვის მთავარი სიამოვნებაა. თუ ცუდი დღე მაქვს ან თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ესაა ჩემი ანტიდეპრესანტიც და მთავარი სტიმულიც.

**მკაცრი მამა ხართ?**

ს.გ. არ არის მკაცრი მამა, თუმცა ბავშვებს ჩემზე მეტად მისი ერიდებათ. ჩემთან უფრო ბევრ რამეს ბედავენ, ვიდრე მასთან. ნიკა ერთ შენიშვნას მისცემს და დამთავრდა. მე უფრო ფიცხი ვარ.

ნ.ც. თუ რამეს აშავებენ, ან მათი საქციელი არ მომწონს, სხვანაირი ტონით ვეუბნები, თუმცა არ მახსოვს, ბავშვებისთვის ხმა ამეწიოს. რაღაცნაირი რიდი აქვთ და ერთხელ ნათქვამი ესმით.

**მესამე შვილს ელოდებით. როგორია მოლოდინი? იცით უკვე სქესი?**

ნ.ც. ოთხი წელი პაუზა გვქონდა. ჩვენც და ბავშვებიც ძალიან გაგვახარა ახალმა ამბავმა. ახლა მთელი ოჯახი ახალ სიცოცხლეს ველოდებით.

ს.გ. სქესი ჯერ არ ვიცით. ერთადერთი ვიცით, რომ აპრილში უნდა დაიბადოს, მეორმოცე კვირა ნიკას დაბადების დღეს უწევს და ძალიან მინდა თარიღები დაემთხვეს. ლიზის და ელენს შორის იმდენად მცირე სხვაობაა, რომ ფაქტობრივად ერთად გაიზარდნენ და ახლაც ორივე ერთად ელოდება მესამე დედმამიშვილს. მეც ძალიან მიფრთხილდებიან და ერთი სული აქვთ პატარა დაიკოს ან ძამიკოს მოუარონ. სახელზე ჯერ ვერც კი ვფიქრობთ – მით უმეტეს, გოგონას სახელები უკვე ამოწურული გვაქვს. ელენესაც დაბადების შემდეგ შევურჩიეთ სახელი. H

**„ლიზის და ელენს შორის იმდენად მცირე სხვაობაა, რომ ფაქტობრივად ერთად გაიზარდნენ და ახლაც ორივე ერთად ელოდება მესამე დედმამიშვილს. მეც ძალიან მიფრთხილდებიან და ერთი სული აქვთ პატარა დაიკოს ან ძამიკოს მოუარონ“.**

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო:** იკა პირველი

სტილი: DOTS.


RED-CO
REAL ESTATE DEVELOPMENT
ახალი გუდაური
თანამედროვე ცხოვრების სტილი მთაში
ზაფხულის ფასები აპარტამენტებზე - 1 მ² მხოლოდ 1900 ₾-დან
რატომ ახალი გუდაური?
დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს გახსნა;
ხელმისაწვდომი ფასები და უძრავი ქონების მაღალი ლიკვიდურობა;
ტურისტების რაოდენობა იზრდება ყოველ წელს;
უცხოელი ინვესტორების დიდი დაინტერესება;
გასაქირავებელ აპარტამენტებზე მაღალი მოთხოვნა;
დანახარჯების ამოღება მაქსიმუმ 4 წელიწადში.
ჩვენ გთავაზობთ
თქვენი ქონების მართვას და სტაბილურ შემოსავალს გაქირავებიდან;
შიდა უპროცენტო განვადებას;
შეღავათებს იპოთეკურ სესხზე.
თ. აბულაძის ქუჩა 1, თბილისი; +995 577 220 220 / 577 230 230; info@redco.ge; www.redco.ge; facebook.com/REDCO.GEO



# სერგი რიგვავა

## მამაკაც მოდელთა მსოფლიო TOP-ათეულების ერთადერთი ქართველი წარმომადგენელი

მის გამოსვლებს ხშირად ნახავთ FASHION TV-ის ეთერში. ხშირად შეხვდებით მოდელის ფოტოებს VOGUE-ის და სხვა პრიალა ჟურნალების ფურცლებზე, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ კავკასიური გარეგნობის, 1.90 სიმაღლის ახალგაზრდა მოდელი, ყავისფერი თმითა და თვალებით, ქართული წარმომავლობისაა. ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და უკვე შეძლო მსოფლიოს მოდის სამყაროს სათავეში ჩადგომოდა, ყველაზე მოთხოვნადი და ყველაზე მაღალანაზღაურებადი ბრენდების მთავარი სახე გამხდარიყო. HELLO! სერგი რიგვავას ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.

**სერგი, უპირველეს ყოვლისა მოგვიყევით, რა გაკავშირებთ საქართველოსთან?**

**ს.რ.** წარმოშობით ქართველი ვარ. მიუნხენში დავიბადე, მოგვიანებით კი საცხოვრებლად ავსტრიაში, ვენაში გადავედით. დედა – სუსან რიგვავა-დუმასი ნახევრად ჰოლანდიელი და ნახევრად ფრანგი, პროფესიით მუსიკოსია. მამა ქართველი მხატვარია – გია რიგვავა, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს და საქმიანობს. ჩემი ბებია და ბაბუა – ვიკა და სერგო რიგვავები კი საქართველოში პოლიტიკოსები გახლდნენ.

**როგორ მოხვდით მოდის სამყაროში და როგორ დაიწყეთ სამოდელო კარიერა?**

**ს.რ.** მოდის სფეროთი თავდაპირველად იმიტომ დავინტერესდი, რომ ჩემმა მეგობარმა მითხრა, ამ სფეროში ბევრი ფული იშოვებაო. თავიდან არ დავიჯერე, თუმცა მაინც ვცადე. თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა პირველად პოდიუმზე ERMENEGILDO ZEGNA-ს გაზაფხული/ზაფხული 2014 წლის კოლექცია წარვადგინე. შემდეგ იყო SALVATORE FERRAGAMO, GUCCI, FENDI, JOHN VARVATOS, PRADA. ჩვენებების მეორე სეზონზე კი, უკვე VALENTINO-ს ჩვენება გავხსენი და HERMES-ის, RAF SIMONS-ის, LOUIS VUITTON-ის, და DIOR HOMME-ის ჩვენებებზე გამოვედი.

**როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი წარმატება და რატომ დაინტერესდნენ თქვენით სხვადასხვა წამყვანი მოდის სახლები?**

**ს.რ.** საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს. ეს ალბათ უფრო მათ უნდა ჰკითხოთ. არასტანდარტული და განსხვავებული გარეგნობა მაქვს, ყოველთვის ვცდილობ მქონდეს დასამახსოვრებელი ინდივიდუალიზმი. ვფიქრობ, მოდელის წარმატებას ძირითადად მაინც იღბალი განსაზღვრავს.

**თქვენს შემთხვევაშიც იღბალი იყო გადამწყვეტი?**

**ს.რ.** გამიმართლა და ავსტრიაში გამართული ELITE MODEL LOOK-ის კონკურსის ფინალისტი გავხდი. ამის შემდეგ დაიწყო უკვე სხვადასხვა წამყვანი მოდის სახლებიდან სერიოზული შემოთავაზებები და ძვირადღირებული კონტრაქტები. რა თქმა უნდა, იღბალთან ერთად გადამწყვეტ როლს თამაშობს მონდომება, ბევრი შრომა და სურვილი იმისა, რომ საუკეთესო იყო.

**ამჟამად რომელ ცნობილ და მაღალანაზღაურებად ბრენდებთან თანამშრომლობთ?**

**ს.რ.** ვიმუშავე ZARA-ს ახალი კოლექციის ფოტოსესიაზე. სულ რამდენიმე დღის წინ დავასრულე PAUL SMITH-ის ახალი კოლექციის LOOK BOOK-ზე მუშაობა. ახლა BURBERRY-ის ელექტრონული რეკლამისთვის საიმიჯო ფოტოგადაღებები მაქვს.

„ძალიან მიყვარს საქართველო თავისი ლამაზი ბუნებითა და ხალხით. სვანეთში, ბათუმსა და თბილისში ნამყოფი ვარ. ვცდილობ ყოველ წელს ჩამოვიდე“.

# „ჩემი შეყვარებული მოდელი ნინა მარკერია, რომელთან ერთადაც ყოფნა ძალიან მსიამოვნებს“

**რომელ მოდის სახლთან მუშაობას გამოარჩევდით?**

ს.რ. თითოეულ ბრენდთან მუშაობა განსაკუთრებულია. ნებისმიერი ფოტოგადაღება იქნება ეს თუ ჩვენება, ჩემთვის ახალი გამოცდილებაა. ყოველთვის სხვადასხვა სტილის სამოსის, ფეხსაცმლისა და აქსესუარის მორგება მიწევს. ბევრს ვფიქრობ, როგორ წარმოვაჩინო ისინი საუკეთესოდ, ეს კი პროფესიულად უფრო მზრდის და ვვითარდები.

**როგორია თქვენი ერთი დღე? დატვირთული სამუშაო განრიგი გაქვთ?**

ს.რ. მსოფლიო მასშტაბით მოდის სხვადასხვა კვირეულები, ჩვენებები, ახალი კოლექციების წარდგენები და მთელი დღის მანძილზე გადაღებები. როდესაც ახალ პროექტზე ვმუშაობ, კვირაში რამოდენიმეჯერ მიწევს ფრენა. შედარებით მსუბუქ დღეებში, ძირითადად, სამუშაო კვირის განმავლობაში დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე ვმუშაობ. ძალიან გვიან ვიძინებ და შესაბამისად, დილითაც გვიან ვიღვიძებ.

**საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი გეყოლებათ. გყავთ რჩეული?**

ს.რ. ჩემი შეყვარებული მოდელი ნინა მარკერია, რომელთან ერთადაც ყოფნა ძალიან მსიამოვნებს და თავს უზომოდ კარგად ვგრძნობ.

**საქართველოში ჩამოდიხართ ხოლმე?**

ს.რ. საქართველოში ბოლოს შარშან ზაფხულში ვიყავი. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა თავისი ლამაზი ბუნებითა და ხალხით. სვანეთში, ბათუმსა და თბილისში ნამყოფი ვარ. ვცდილობ ყოველ წელს ჩამოვიდე და მონატრებული ბებია, ბიძაშვილები და ჩემი ძმა მოვინახულო, რომელიც საქართველოში ცხოვრობს.

**ქართულად საუბარი შეგიძლიათ?**

ს.რ. სამწუხაროდ, ძალიან ცუდად ვიცი ქართული. გამართულად მხოლოდ რამდენიმე სიტყვის: „გამარჯობა“, „მადლობა“ და „ნახვამდის“ თქმა შემიძლია.

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

ს.რ. ძალიან მინდა ვიყო მხატვარი, მუსიკოსი ან პოეტი, თუმცა როგორ შევძლებ ამას, ჯერ არ ვიცი. მიყვარს ფოტოების გადაღება, ხატვა, სიმღერა, ჩელოსა და გიტარაზე დაკვრა. ჩემს მეგობრებთან ერთად პატარა როკჯგუფი მაქვს, სადაც თავისუფალ დროს სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებს ვქმნით. გადაღებული გვაქვს ერთი მუსიკალური კლიპი THE VALLYS.

**აპირებთ საქართველოში ჩამოსვლას?**

ს.რ. ძალიან მინდოდა ზაფხულში დასასვენებლად ჩამოვსულიყავი, თუმცა სამსახურიდან გამომდინარე, სამწუხაროდ ვერ მოვახერხე. უახლოეს პერიოდში ვგეგმავ ჩამოსვლას, მაგრამ როდის იქნება ეს, ჩემს თავისუფალ დროსა და სამუშაოზეა დამოკიდებული. H

ტექსტი: ზურა მახარაშვილი. ფოტო: ანასტასია პაიჭაძე.



„თუ გსურს მოდის სფეროში წარმატებას მიაღწიო, ამ საქმისთვის თავი უნდა გადადო. ძალიან უნდა მოინდომო და თავდაუზოგავად იმუშაო“.



„მოდელობა დამღლელია, შესაძლოა მთელი დღე ფოტოკამერის წინ გაატარო, თუმცა ამასთანავე ძალიან კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ბევრი იმოგზაურო, ახალი ხალხი გაიცნო და თავგადასავლებით სავსე ცხოვრება გქონდეს“.



„ძალიან მინდა ვიყო მხატვარი, მუსიკოსი ან პოეტი, თუმცა როგორ შევძლებ ამას, ჯერ არ ვიცი. მიყვარს ფოტოების გადაღება, ხატვა, სიმღერა, ჩელოსა და გიტარაზე დაკვრა. ჩემს მეგობრებთან ერთად პატარა როკჯგუფი მაქვს. გადაღებული გვაქვს ერთი მუსიკალური კლიპი The Vallys“.





# მაიკ პენსი

## აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია







საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი, **მაიკ პენსი** ეწვია. სტუმარს საქართველოს პრემიერმინისტრი – **გიორგი კვირიკაშვილი** და აშშ-ში საქართველოს ელჩი – **იან კელი** დახვდნენ.

პენსმა, რომელიც ქვეყანას მეუღლესთან ერთად ესტუმრა, **დონალდ ტრამპის** დანაბარები გააჟღერა და საქართველოს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. „***პრეზიდენტმა ტრამპმა მთხოვა, მისი მოკითხვა გადმომეცა და მეთქვა, რომ თქვენ გვერდით ვართ. ჩვენ ძალიან ვაფასებთ აშშ-სა და საქართველოს 25-წლიან მეგობრობას და საქართველოს საკვანძო პარტნიორად განვიხილავთ***“, – აღნიშნა ამერიკის ვიცეპრეზიდენტმა. მისი თქმით, საქართველომ დასავლეთის მხარდაჭერა დიდი ხნის წინ დაიმსახურა, ქართველების გმირობა და თავისუფლებისათვის ბრძოლა კი დღემდე რჩება ყველასთვის მისაბაძ მაგალითად. „***ჩვენ თქვენ გვერდით ვდგავართ იმიტომ, რომ ქართული ანდაზა ამბობს: „ძალა ერთობაშია“. შესაბამისად, ჩვენ ერთად უფრო ძლიერები ვიქნებით***“, – მიმართა სტუმარმა ქართველ ჯარისკაცებს, რომლებსაც ვიზიტის ფინალურ ნაწილში შეხვდა,

**მაიკ პენსის** ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი აქცენტები მაინც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შეეხო. ამერიკის ვიცეპრეზიდენტმა ცალსახად გაუსვა ხაზი იმას, რომ აშშ მკაცრად ემიჯნება ყველას, ვინც მხარს არ უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს: „***ტრამპის ადმინისტრაცია ყოველთვის მკაცრ პასუხს გასცემს ყველა იმ ქვეყანას, რომლებსაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის სურვილი ექნებათ. რუსეთთან უკეთესი ურთიერთობა გვსურს, თუმცა მათ მიერ გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯები ამის საშუალებას არ გვაძლევს***“. სტუმარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-სა და საქართველოს მოკავშირეობა და იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა მალე იზეიმებს ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს პრემიერმინისტრმა ხაზი გაუსვა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ასეთი „ხმამაღალი“ მხარდაჭერის მნიშვნელობას და დაამატა: „***ეს, უპირველესად, არის კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა და მეტი შთაგონება იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა მივიყვანოთ გამთლიანებამდე – რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით***“.

საბოლოო ჯამში, ვიზიტი ორივე მხარის მიერ დადებითად შეფასდა. დასკვნა კი შემდეგია – ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მოკავშირედ და საიმედო მეგობრად რჩება.

**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES.

106,9 FM
FORTUNA

# ფორტუნა

# 20

## წელი თქვენთან ერთად

WWW.FORTUNA.GE

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**ბილ გეიტსმა** კომპანიის აქციების 1.3% საქველმოქმედო მიზნით გასცა. საქველმოქმედო აქციის უშუალო ადრესატი ჯერ ცნობილი არ არის. ბიზნესმენმა თანხა „ბილ და მელინდა გეიტს ფაუნდეიშენის" საქველმოქმედო ფონდში ჩარიცხა, რომელსაც გეიტსი და მისი მეუღლე ფილანტროპიული აქტივობისთვის იყენებენ. სააგენტო „ბლუმბერგის" გათვლით, 1999 წელს გეიტსმა ქველმოქმედების მიზნით, „მაიკროსოფტის" 16 მილიარდი დოლარის მოცულობის აქციები გასცა, 2000 წელს კი 5.1 მილიარდის მოცულობის. საერთო ჯამში, 1994 წლიდან დღემდე, გეიტსების ოჯახმა 35 მილიარდი დოლარი ქველმოქმედების მიზნით გასცა.



**გიორგი კვირიკაშვილმა** დავოსის მერთან ერთად, სამედიცინო-გამაჯანსაღებელი კურორტი „ბიოლი" დაათვალიერა და ახალი საკონფერენციო დარბაზი გახსნა. საქართველოს მთავრობის მეთაური მიესალმა დავოსის მერისა და მისი მეუღლის საქართველოში სტუმრობას და შვეიცარიასთან საქართველოს მზარდ ურთიერთობებზე ისაუბრა. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველო ყოველწლიურად მონაწილეობს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში. ასევე, შვეიცარიასთან აქვს ძალიან საინტერესო ურთიერთობა მთიანი რეგიონების განვითარების კუთხით.



**სოფიო სომხიშვილმა** კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სპორტსმენმა ხორვატ ჰელენა ვუკოვიჩს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ დამატებით დროში ვაზარით დამარცხდა და კადეტთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონატის ტიტულს დაეუფლა. სომხიშვილის გარდა, საქართველომ კიდევ 3 მედალი მოიპოვა: ვაჟებში ჩემპიონი ლაშა ბექაური გახდა, ლუკა კაპანაძე ვერცხლის მფლობელია, ხოლო მარიამ ჭანტურიამ ტურნირი ბრინჯაოს მედლით დაასრულა.



**ბარაკ ობამა** პოლიტიკაში ბრუნდება. შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის გარემოცვაზე დაყრდნობით, გამოცემები წერენ, რომ ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნება არ იქნება ხმაურიანი. 44-ე პრეზიდენტი იმუშავებს დემოკრატიული პარტიის პოზიციების აღდგენასა და გამყარებაზე, რომელიც ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა. პირველ ეტაპზე ბარაკ ობამა პარტიისთვის თანხების მოძიებაზე იზრუნებს.





**ლევან დავითაშვილი** რთველის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. ღვინის კომპანიები, რომლებიც რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ. „ყველანაირი პირობა არსებობს იმისთვის, რომ წლევანდელი რთველი იყოს ძალიან წარმატებული, გვაქვს კარგი მოსავალი და გვაქვს გაზრდილი ექსპორტი", — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.



**ირმა ნიორაძემ** 9 აგვისტოს, Black Sea Arena–ზე, Check in Georgia-ს ფარგლებში, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავებთან ერთად გალაკონცერტი გამართა. ღონისძიება ბალეტის ლეგენდას — ვახტანგ ჭაბუკიანს მიეძღვნა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საუკეთესო ნომრები როგორც კლასიკური, ასევე მოდერნბალეტიდან. კონცერტში ირმა ნიორაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა მოცეკვავეებმა იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან და სპეციალური მოწვევით ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა - „სუხიშვილებმა".

ტექსტი: სალომე შალიკაშვილი



# ზაზა ფაჩულია

## NBA-ის თასი საქართველოში

7 აგვისტოს, სპორტის სასახლეში NBA-ს თასის ოფიციალური წარდგენის ცერემონია გაიმართა. ისტორიულ მოვლენას დარბაზში შეკრებილი 6 ათასი ქომაგი დიდი ოვაციით შეხვდა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრთა კაბინეტის წევრები და აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი ესწრებოდნენ. ზაზა ფაჩულიამ სპორტის სასახლეში ქართველ გულშემატკივარს NBA-ს ჩემპიონის თასი წარუდგინა. კალათბურთელმა თასის წარდგენის ცერემონია 2008 წლის აგვისტოს ომის მეომრების მოგონებით დაიწყო და შემდეგ სამადლობელი სიტყვა უთხრა ყველას, ვისაც მის ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის. ასევე აღნიშნა, რომ ქართველი გულშემატკივრის თანადგომა მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. „მიხარია, რომ ეს ბედნიერი დღე გამითენდა. NBA-ის თასი საქართველოშია. ყველას შეგიძლიათ იამაყოთ, რადგან ამ ტიტულს ჩვენ ვერავინ წაგვართმევს. ვიამაყოთ და იმედია, ეს პირველია და არა უკანასკნელი ტიტული“, — განაცხადა ზაზა ფაჩულიამ. ცერემონიალის მსვლელობისას ზაზამ მიიღო მილოცვები საქართველოს ნაკრების კალათბურთელებისგან, მწვრთნელებისგან და მეგობრებისგან. „გილოცავ, რომ თასი საქართველოში ჩაიტანე. ქართველებო, ეს თასი თქვენიცაა... დატკბით“, — ასე მიულოცა „გოლდენ სტეიტის“ სუპერვარსკვლავმა — სტეფ კარიმ, ზაზა ფაჩულიას.



**მიხაილ ტიტარჩუკი** საქართველოში უკრაინელ ჟურნალისტებთან ერთად იმყოფებოდა. უკრაინის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იმ მიღწევებითა და შედეგებით დაინტერესდა, რომელსაც საქართველომ ტურიზმის სფეროში ბოლო წლებში მიაღწია. ვიზიტის ფარგლებში, მიხაილ ტიტარჩუკმა ბათუმი და თბილისი დაათვალიერა. უკრაინელი ჟურნალისტები კი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ მასალებს მოამზადებენ.



**ანა ურუშაძის** მხატვრული ფილმი - „საშიში დედა“ სარაევოს კინოფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ფილმი ასევე ლოკარნოს 70-ე საერთაშორისო კინოფესტივალის რჩეული გახდა საუკეთესო დებიუტის კატეგორიაში და მისი პრემიერა რამდენიმე დღის წინ ამავე ფესტივალზე შედგა. „საშიში დედა“ ურუშაძის პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია. ფილმის გადაღებები რამდენიმე კვირის განმავლობაში, თბილისში მიმდინარეობდა. რეჟისორმა ჯერ ზუსტად არ იცის, როდის შედგება ფილმის პრემიერა საქართველოში, მანამდე კი ფილმის ჩვენებას საერთაშორისო ფესტივალებზე გეგმავენ.



**ზვიად პატარიძემ** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ყირგიზეთის წარმომადგენელს, კიმ რომანს მოუგო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ქართველმა მძიმეწონოსანმა საფინალო გზაზე 4 მეტოქე დაამარცხა, იაპონელი იცუკი შოჯი 47 წამში, ხოლო რუმინელი ისტვან ბერეი — 17 წამში. მეოთხედფინალში ირანის წარმომადგენელთან, ამინ მირზაზადესთან 4:1-ით, ნახევარფინალში კი რუს გიორგი გაჯიევთან 4 წუთში ანგარიშით 0:9 მოიგო. ფინეთში, ქალაქ ტამპერეში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი 6 აგვისტოს დასრულდა და მოჭიდავე ზვიად პატარიძე ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.



**მიხეილ სააკაშვილი** უკრაინაში დასაბრუნებლად ემზადება. აღნიშნულის შესახებ მან უკრაინულ ტელეარხ 24-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „მე უკრაინაში დავბრუნდები. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სხვაგან არსად მაქვს. ჩემი მეგობრების უმეტესობა და პარტია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უკრაინაშია“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



„დიდებული ქორწილი იყო, მაგრამ არა ზედმეტად გადაპრანჭული – ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენი სიყვარულია“

## DOLCE & GABBANA-ს ოჯახი

# ბიანკა ბალტი & მეთიუ მაკრეი

## იტალიური ქორწილი ამერიკაში

„მინდოდა ვყოფილიყავი ის, რაც ვარ. სწორედ ამიტომ, მაკიაჟიც ბუნებრივი შევარჩიე და მხოლოდ თვალის ფერი გამოვკვეთე ჩრდილებითა და ღია იასამნისფერი ტუშით“, — აღნიშნა პატარძალმა. ქორწილის მთავარი გმირები იყვნენ პატარძლის ქალიშვილებიც — 2 წლის მია და მატილდა, რომლებსაც პატარძლის მსგავსი მაქმანებიანი კაბები ეცვათ. გოგონები მეჯვარეების როლებს ითავსებდნენ და დედას გვერდიდან არ შორდებოდნენ.





იტალიელი მოდელი საკურთხევლისკენ საკუთარ თავსა და საყვარელ ადამიანში ბოლომდე დარწმუნებული იდგა. მის ცნობილ მომხიბვლელობას კიდევ უფრო ამშვენებდა Dolce & Gabbana-ს კაბა, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შეიკერა. „დანახვისთანავე მივხვდი, რომ ეს ჩემი საოცნებო კაბა იყო“, — გაიხსენა ბიანკამ, — „ფოტო გადავუღე და შემდეგ, როცა შერჩევის მომენტი დადგა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ის უნდა ჩამეცვა. ჩემი კარიერა Dolce & Gabbana-ს უდიდესი დამსახურებაა და ბუნებრივია, რომ ჩემი ოცნების კაბა სწორედ მათ შევაკერინე“.





ბიანკა ბალტიმ პოდიუმიდან კალიფორნიის სანაპიროზე გადაინაცვლა და ყველაზე საპასუხისმგებლო ბილიკი ჩვეული თავდაჯერებით გაიარა. მეთიუ მაკრეისა და ბიანკას გულშემატკივრები ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ, იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია წყვილმა ერთად ყოფნა გადაწყვიტა და სიყვარულის ფიციც დადო. ოფიციალური ცერემონია კი, რომელიც არცთუ ოფიციალური აღმოჩნდა, წელიწადზე მეტხანს იგეგმებოდა.

წვეულება, რომელმაც ნეფე-პატარძლის ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები გააერთიანა, ლაგუნას სანაპიროზე – THE RANCH-ში გაიმართა. ეს „ბედნიერი ლოკაცია“ უკვე ბევრჯერ გამოჩნდა ცოლ-ქმრის სოციალურ ქსელებშიც. სადღესასწაულო განწყობა, ბედნიერება და სიხარული ფოტოების აღწერაშივე იგრძნობოდა: „საუკეთესო. დღე. ცხოვრებაში“.

იტალიელი მოდელი საკურთხევლისკენ საკუთარ თავსა და საყვარელ ადამიანში ბოლომდე დარწმუნებული მიაბიჯებდა. მის ცნობილ მომხიბვლელობას კიდევ უფრო ამშვენებდა DOLCE & GABBANA-ს კაბა, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შეიკერა. „დანახვისთანავე მივხვდი, რომ ეს ჩემი საოცნებო კაბა იყო“, – გაიხსენა

# „ჩემი კარიერა DOLCE & GABBANA-ს უდიდესი დამსახურებაა“

ბიანკამ, – „ფოტო გადავუღე და შემდეგ, როცა შერჩევის მომენტი დადგა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ის უნდა ჩამეცვა. ჩემი კარიერა DOLCE & GABBANA-ს უდიდესი დამსახურებაა და ბუნებრივია, რომ ჩემი ოცნების კაბა სწორედ მათ შევაკერინე“. აღსანიშნავია, რომ ამ ბრენდთან ბალტის მართლაც ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს. სწორედ იტალიელი მოდელი გადაიქცა 2013 წელს გამოშვებული სუნამოს – LIGHT BLUE-ს სახედ.

მაქმანებიან საქორწილო კაბას დახვეწილი სილუეტი და მასიური სახელოები გამოარჩევდა. ის მაქსიმალურად აერთიანებდა ყველა თანამედროვე ტრენდს და მეფურ იერსაც მოხდენილად ირგებდა. ამოჭრილ ზურგს კიდევ უფრო გამოკვეთდა სადა, აწეული ვარცხნილობა. ზოგადად, სისადავე და ბუნებრიობა ყველაფერში იგრძნობოდა. „მინდოდა ვყოფილიყავი ის, რაც ვარ. სწორედ ამიტომ, მაკიაჟიც ბუნებრივი შევარჩიე და მხოლოდ თვალის ფერი გამოვკვეთე ჩრდილებითა და ღია იასამნისფერი ტუშით“, – აღნიშნა პატარძალმა. რაც შეეხება მეთიუს, მას კლასიკური კოსტიუმი ეცვა და ბიანკას მსგავსად, თავს სტეფანო გაბანას დიზაინით იწონებდა. ბედნიერი წყვილის ფოტო თავად დიზაინერმაც გამოაქვეყნა და ცოლ-ქმარს სიამაყით უწოდა „DOLCE & GABBANA-ს ოჯახი“ – #DGFamily #madeinitaly.

პატარძალს მწვანე ფოთლებში გახვეული თეთრი ლილიებისა და გვირილების თაიგული ეჭირა, მისი მეუღლის გულისჯიბეში კი ცალი თეთრი ვარდი მოჩანდა. მაგიდები მაღალი ხის გარშემო იდგა და თითოეული მათგანი ყვავილებისა და ლიმონის კომბინაციებით იყო გაფორმებული. ზოგადად, ქორწილის დეკორის მთავარი იდეა ციტრუსის ირგვლივ ტრიალებდა.

ქორწილის მთავარი გმირები იყვნენ პატარძლის ქალიშვილებიც – 2 წლის მია და მატილდა, რომლებსაც პატარძლის მსგავსი მაქმანებიანი კაბები ეცვათ. გოგონები მეჯვარეების როლებს ითავსებდნენ და დედას გვერდიდან არ შორდებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ბიანკა და მეთიუ ერთმანეთს ესპანურ არდადეგებზე შეხვდნენ. ▶

ფოტო: INTAGRAM/BIANCA BALTI, MARCO TASSINARI.



**„ძალიან იტალიელი ვარ! არ შემიძლია, ცოტათი დავკმაყოფილდე“, – ამბობს ბიანკა, – „ვგიჟდები ბევრ პრინტსა და კიდევ უფრო ბევრ აქსესუარზე“**

ბალტი შვებულებით ტკბებოდა, მაკრეი კი მაშინ სწორედ მარბელიაში ცხოვრობდა. ერთი წლის შემდეგ SPORTS ILLUSTRATED-ის მოდელი ოფიციალურად დაინიშნა. „მახსოვს, იმ საღამოს პაემანზე დამპატიჟა“, – იხსენებს პატარძალი, – „მატილდა მეთიუს მშობლების სახლში დავტოვეთ, შემდეგ კი მითხრა, რომ რაღაც უნდა ეჩვენებინა. „მაიძულა“, ერთ-ერთი ისტორიული სახლის ღობეზე გადავმძვრალიყავი, რის შემდეგაც ჯადოსნურ ბაღში აღმოვჩნდით. ფორთოხლის სურნელში, ძველ ხეებს შორის მივაბიჯებდით, როცა მთავარი შეკითხვა დამისვა. სიურპრიზები დიდად არ მიყვარს, ამიტომ თავი ცოტა უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ რა თქმა უნდა, დავთანხმდი!“ მაშინ მთელმა მსოფლიომ მიმოიხილა ვინტაჟური სტილის ბეჭედი, რომელსაც საფირონის თვლები და პატარა ბრილიანტები ამშვენებდა. ბიანკა სიცილით იხსენებს, რომ ეს ბეჭედი მეთიუს სხვაში შეეშალა: „თურმე ეგონა, რომ ეს ის ბეჭედი იყო, რომელიც ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მომეწონა. არადა, მე ზურმუხტის თვალზე გადავირიე! ამ ისტორიას სულ სიცილით ვყვები ხოლმე, იმიტომ, რომ სახალისო და საყვარელი ამბავია“.

მოკლედ, სიყვარულის ფიცი კიდევ ერთხელ დაიდო. პატარძალმა კი, რომელიც სიურპრიზებით აშკარად ხშირად გაგვანებივრებს, საღამო რამდენიმე სიტყვით შეაჯამა: „დიდებული ქორწილი იყო, მაგრამ არა ზედმეტად გადაპრანჭული – ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენი სიყვარულია“.

## წინარე ისტორია

33 წლის ბიანკა ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ ლოდიში დაიბადა. მარიასა და ბრუნოს ქალიშვილი, და ალესანდროსა და კარლო-ალბერტოს საყვარელი დაიკო ყველასგან განებივრებული იყო. ბედნიერი ბავშვობის გამორჩეულ ნაწილად დარჩა ბებია-ბაბუის ალპური სახლიც, რომელსაც ბალტი ბიძაშვილებთან ერთად ხშირად სტუმრობდა.

კლასიკური ლიცეუმის დასრულების შემდეგ, ბიანკამ გრაფიკული დიზაინის კურსებზე გამოცდები ჩააბარა. მილანშივე დაიწყო ტანსაცმლის შეკერვა, რაშიც დედამისის საკერავი მანქანა გამოიყენა. საქმიანობა, რომელიც დამატებითი შემოსავლის წყარო უნდა ყოფილიყო, მალე მთავარ მოწოდებად გადაიქცა. მალევე გამოჩნდა პირველი შეთავაზებაც – ბრუნო პაულეტამ, BRAVE MODELS-ის დამფუძნებელმა და აგენტმა, ბალტი თანამშრომლობაზე დაითანხმა. „ეს ჩემი კარიერის დასაწყისი იყო – ლომბარდიაში ვიყავი, როცა საკუთარმა აგენტმა დამირეკა და რომში დაგეგმილ ფოტოსესიაში მონაწილეობა შემომთავაზა. ცოტა გავბრაზდი, იმიტომ, რომ გადაღება კვირას იყო დაგეგმილი, მე კი შაბათ საღამოს წვეულებაზე წასვლას ვაპირებდი. ჩემი აგენტი გაცეცხლებული იყო და უნდოდა მოვეკალი“, – იხსენებს ბიანკა სიცილით, – „მაგრამ გამოსავალი მაინც მოძებნა და მითხრა: „ბიანკა, იმ წვეულებაზე წახვალ, მაგრამ ღამის 3 საათზე ჩემი მძღოლი მოგაკითხავს და რომში წაგიყვანს!“ ასეც მოხდა და წვეულებიდან პირდაპირ ფოტოსესიაზე აღმოვჩნდი. ზოგჯერ ეს რეჟიმი ძალიან მენატრება ხოლმე! იმდენ რაღაცას ვაკეთებდი ერთდროულად... ალბათ, ეს მაშინ ხდება, როცა ძალიან ახალგაზრდა და ენთუზიაზმით სავსე ხარ, დადიხარ წვეულებებზე, ხოლო წვეულებებიდან – გადაღებებზე... ახლა კი 33-ის გახლავართ და დასაძინებლად საღამოს 8 საათზე ვწვები. დილის 6-ზე კი უკვე ფეხზე ვარ და გოგონებს ვუვლი. წვეულებებზე იშვიათადღა დავდივარ. ჩემი საყვარელი გართობა ჩემსავე სახლში შეკრებილ მეგობრებთან ერთად ვახშმობაა. ვგიჟდები მათთვის საჭმელების მომზადებაზე“.

პირველი „წარმატებული ზარიდან“ რამდენიმე კვირის შემდეგ, მოდელი L’OFFICIEL PARIS-ის ყდაზე, მალევე კი VALENTINO-სა და DOLCE & GABBANA-ს კატალოგებში

გამოჩნდა. ამას მოჰყვა ექსკლუზიური კონტრაქტი DOLCE & GABBANA-სთან, რაც ჩვენებებსა და სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობას მოიცავდა.

მისი სახელი კიდევ უფრო გახმაურდა მაშინ, როცა ბიანკა სტივენ კლაინის, ენი ლეიბოვიცისა და სხვა ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრებში გამოჩნდა. პოპულარობამ კი პიკს VICTORIA SECRET FASHION SHOW-ზე გამოსვლის შემდეგ მიაღწია 2005 წელს. მას შემდეგ ბიანკას წინსვლა არ შეჩერებულა.

პირველი შვილი 2007 წელს, იტალიელი ფოტოგრაფისგან გააჩინა, მია კი – მეთიუსა და ბიანკას საერთო შვილი, 2015 წელს დაიბადა.

ამჟამად 33 წლის მოდელი პირველად მუშაობს საცურაო კოსტიუმების დიზაინზე. როგორც უკვე გითხარით, დიზაინი ბავშვობიდანვე მისი გატაცება იყო. „ძალიან იტალიელი ვარ! არ შემიძლია, ცოტათი დავკმაყოფილდე“, – ამბობს ბალტი, – „ვგიჟდები ბევრ პრინტსა და კიდევ უფრო ბევრ აქსესუარზე. მინდა ბევრი ვიყო, ძალიან ბევრი! მინდა ვჩანდე. მგონი, ეს იტალიური სტილია – შოკისმომგვრელი სტილი. ხმამაღალი სიცილი, თვალშისაცემი ქცევები, „მყვირალა“ ტანსაცმელი, სპონტანურობა, ყველაფრის პირდაპირ თქმა და სიხალისე – ეს იტალიელი ქალის თვისებებია, რომლებიც მეც მახასიათებს“. H

ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.



**2005 წელს Victoria Secret Fashion Show-ზე გამოსვლის შემდეგ, ბიანკას წინსვლა არ შეჩერებულა და Karl Lagerfeld-ის, Gianfranco Ferré-ს, Marc Jacobs-ის, Alexander McQueen-ის, Givenchy-ის, Hermès-ის, Gucci-ის, Fendi-ის, Prada-ს, Valentino-ს, Missoni-ის, Chanel-ის, Christian Dior-ის, Versace-ს, Oscar de la Renta-ს, Narciso Rodriguez-ის, Ralph Lauren-ისა და Carolina Herrera-ს ჩვენებებამდე მივიდა.**



**„ხმამაღალი სიცილი, თვალშისაცემი ქცევები, „მყვირალა“ ტანსაცმელი, სპონტანურობა, ყველაფრის პირდაპირ თქმა და სიხალისე – ეს იტალიელი ქალის თვისებებია, რომლებიც მეც მახასიათებს“**





საქორწილო წვეულება თბილისის ზღვაზე, კერძო სანაპიროზე შედგა. სტუმრების ძირითადი ნაწილი ელენესა და ირაკლის მეგობრები, ახალგაზრდა მოდელები და მსახიობები იყვნენ



დღეს ელენე ნიუ-იორკში, სააგენტო Next models-ის კონტრაქტორია და სხვადასხვა წამყვან ბრენდთან და მოდის სახლთან თანამშრომლობს.



# ელენე მახარაშვილი და ირაკლი კვირიკაძე

## ელენე და ირაკლი დაახლოებით ერთი წელი შეყვარებულები იყვნენ, საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადად აშშ-ში ცხოვრობენ, თუმცა ეს მნიშვნელოვანი დღე საქართველოში აღნიშნეს

**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი. **ფოტო:** ანასტასია პაიჭაძე.

მოდელმა ელენე მახარაშვილმა ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე ნიშნობის ბეჭდით ხელდამშვენებული ფოტო გამოაქვეყნა და მისი პირადი გვერდის 25 ათასამდე მიმდევარს საკუთარი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ამცნო. ფოტოს ატვირთვიდან რამდენიმე დღეში კი, წყვილის ქორწილი გაიმართა.

ელენე და ირაკლი დაახლოებით ერთი წელი შეყვარებულები იყვნენ, საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადად აშშ-ში ცხოვრობენ, თუმცა ეს მნიშვნელოვანი დღე საქართველოში აღნიშნეს. საქორწილო წვეულება თბილისის ზღვაზე, კერძო სანაპიროზე შედგა. ლოკაციის მიხედვით, წყვილის საქორწილო ჩაცმულობა, საზაფხულო, თხელი თეთრი სამოსი და ჩალის საზღვაო ქუდი იყო.

სტუმრების ძირითადი ნაწილი ელენესა და ირაკლის მეგობრები, ახალგაზრდა მოდელები და მსახიობები იყვნენ. მათ შორის: ნინი ნებიერიძე, ანი ჩიხლაძე, ფოტოგრაფი ანასტასია პაიჭაძე, მსახიობები ფილმიდან „მძევლები“ – ბექა ლემონჯავა, გიგა დათიაშვილი და სხვ. ირაკლი სწორედ რეზო გიგინეიშვილის ფილმში „მძევლები“ მთავარ როლს ასრულებს. კინოსამყაროსთან ირაკლის მჭიდრო კავშირი გასაკვირი არცაა – მისი ოჯახის წევრები სამსახიობო სფეროდან არიან. ირაკლი ცნობილი მსახიობის – კახა ქორიძის შვილიშვილი და მსახიობ ნინო ქორიძის შვილია. რაც შეეხება ელენეს, იგი მოდის სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია.

სამოდელო კარიერა საკმაოდ პატარა ასაკში, ნინო ცქიტიშვილის სააგენტო LOOK MODELS-იდან დაიწყო, შემდეგ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სააგენტო IMG-ის მიწვევით, სამუშაოდ პარიზსა და მილანში გაემგზავრა. დღეს კი, ნიუ-იორკში, სააგენტო NEXT MODELS-ის კონტრაქტორია და სხვადასხვა წამყვან ბრენდთან და მოდის სახლთან თანამშრომლობს. H





## საქორწინო ფიცითა და DIOR-ის კაბით

# მირანდა კერი

## წვეულების დეტალებზე საუბრობს

**„ევანი ყველაზე განსაკუთრებული ადამიანია – ვაღმერთებ! საკუთარ თავს ყოველდღე ვუმეორებ, რომ ძალიან გამიმართლა, გვერდით ასეთი პარტნიორი რომ მყავს“**



**„კაბა, რომელიც შენს სხეულს მთლიანად ფარავს, რაღაცნაირად უფრო წმინდა და მისტიკურია“**

„ასეთ მშვენიერ კაბაზე ვერც კი ვიოცნებებდი“, - ამბობს მირანდა, რომელსაც ქორწილში Dior-ის არტდირექტორის - მარია გრაცია კიურის შეკერილი კაბა ეცვა (ზევით). ვარდების წვეულება: მირანდამ და ევანმა საქორწილო წვეულების გამართვა ლოს-ანჯელესში, საკუთარ სახლში გადაწყვიტეს. ბაღი ვარდისფერი ყვავილებით იყო მორთული (ქვევით).

უკვე რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მირანდა კერი SNAPCHAT-ის დამფუძნებელ ევან სპიგელზე გათხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ქორწილი მაისში იყო, მოდელმა პირველად გაგვიზიარა საქორწილო წვეულების ის დეტალები, რომელმაც, მოლოდინისამებრ, მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

როგორც აღმოჩნდა, DIOR-ის გლამურული და მოკრძალებული კაბის დიზაინი გრეის კელის ქორწილის შთაგონებით შეიქმნა. 34 წლის სუპერმოდელი თავადვე აღიარებს, რომ მისი „ბედნიერი დღე“ ყველასთვის საოცნებო ზღაპარს ჰგავდა: „მგონი, ყველა გოგონას ოცნებაა, ქორწილში DIOR-ის დიზაინით შეკერილი კაბა ეცვას“.

ამერიკულ VOGUE-თან საუბრისას მირანდამ აღტაცებით აღნიშნა: „გულწრფელად რომ გითხრათ, ასეთ მშვენიერ საქორწილო კაბაზე ვერც კი ვიოცნებებდი! კაბა, რომელიც შენს სხეულს მთლიანად ფარავს, რაღაცნაირად უფრო წმინდა და მისტიკურია. მოდაში ბევრი სტილი მოვსინჯე – თავისუფალი, ბოჰემური, ველური... ამ ეტაპზე კი უფრო დახვეწილ არჩევანს ვაკეთებ – გრეისი, ოდრი ჰეპბერნი და ჩემი საყვარელი ბებია ჩემთვის 1980-იანი წლების შარმის საუკეთესო მაგალითები არიან. სწორედ მათი სტილის კაბები, ბლუზები, შარ-ფები და ფეხსაცმელები მომწონს“... ▶





**მირანდა კერი და მისი რჩეული მილიარდერი ლოს-ანჯელესში დაქორწინდნენ, წვეულება კი საკუთარ, 16-მილიონიან სახლში გამართეს**

როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ფავორიტი სუპერმოდელი იხსენებს, მის დანახვაზე დედასაც და ბებიასაც გული აუჩუყდათ და აეტირათ. მირანდას 6 წლის ვაჟმა კი ბეჭდებზე ზრუნვა შეითავსა და პირველ ცეკვაშიც აქტიურად ჩაერთო.

შეგახსენებთ, რომ მირანდა კერი და მისი რჩეული მილიარდერი ლოს-ანჯელესში დაქორწინდნენ, წვეულება კი საკუთარ, 16-მილიონიან სახლში გამართეს. სტუმართა სიაში მხოლოდ 50 ადამიანი იყო. ყველა მათგანი აღფრთოვანებით საუბრობდა ვარდისფერი ყვავილებით მორთულ ბაღზე, რომელიც საღამოს კიდევ უფრო ჯადოსნურ ელფერს სძენდა: „ევანმა და მირანდამ დიდხანს იფიქრეს წვეულების ადგილზე, მაგრამ მიხვდნენ, რომ მათი ბაღი საუკეთესო გამოსავალი იყო. ქორწილს მხოლოდ ისინი ესწრებოდნენ, ვინც მათთვის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანია“.

საღამოს მუსიკალურად ჯეისონ მრაზი და კოლბი კეილატი აფორმებდნენ. მათ არც პატარძალი ჩამორჩა – სცენაზე თამამად ავიდა და შანია ტვეინის სიმღერა YOU'RE STILL THE ONE საყვარელ მეუღლეს მიუძღვნა.

ცნობისთვის: წყვილის სიყვარულის ისტორია 2014 წელს დაიწყო. მირანდა და ევანი ერთმანეთს ვახშამზე შეხვდნენ. თავიდან მეგობრობდნენ, შემდეგ კი გრძნობებშიც გამოტყდნენ. როგორც ამბობენ, უპირატესობას მშვიდად ცხოვრებას ანიჭებენ და წვეულებებზე სიარულს, ყოველთვის შინ ყოფნა და ერთად ვახშმობა ურჩევნიათ. H

**ტექსტი**: LAURA BENJAMIN
**ორიგინალი ტექსტი**: ROB HASKELL/VOGUE
**ფოტო**: PATRICK DEMARCHELIER

*ფოტოები ამერიკული Vogue-ის საკუთრებაა. სრული ალბომის ნახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე:*
vogue.com/augustissue2017

**მირანდა კერი მანამდე ორლანდო ბლუმზე იყო გათხოვილი. სამწლიანი თანაცხოვრებისა და ერთი შვილის გაჩენის შემდეგ, მათი ოჯახი დაინგრა. სამაგიეროდ, შენარჩუნდა მეგობრული ურთიერთობა. „ორლანდოს მიაჩნია, რომ ევანი არაჩვეულებრივი ადამიანია“, – სიამაყით აღნიშნავს სუპერმოდელი.**



MEDI EST

# კლინიკა მედი

საუნივერსიტეტო კლინიკა




- კოსმეტოლოგია
- ლაზერული ეპილაცია
- სტომატოლოგია
- პლასტიკური ქირურგია
- პროქტოლოგია
- გინეკოლოგია
- სარეაბილიტაციო ცენტრი (ფიტნესი, სპა)

## 20 ფილიალი საქართველოს მასშტაბით

11 ფილიალი თბილისში; 9 ფილიალი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

მედი — კოსტავას გამზ. N 52, თბილისი; ტელ.: +995 032 291 00 00





# ვიტა სიდორკინა „ანგელოზის“ ქორწილი

**VICTORIA'S SECRET**-ის „ანგელოზი“ **ვიტა სიდორკინა** საკუთარ ქორწილში ნამდვილ დედოფალს ჰგავდა. მოდელი ცოლად დეველოპერ **ვალერიო მორაბიტოს** გაჰყვა. ცერემონია იტალიაში, ამფალის სანაპიროზე, რაველოს საკათედრო ტაძარში, ხოლო საქორწილო მიღება მე-11 საუკუნის ყოფილ სასახლე **BELMOND HOTEL CARUSO**-ში ჩატარდა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის გასაოცარი ხედით გამოირჩევა. გასაოცარი კი არა მხოლოდ ხედები, არამედ პატარძლის კაბაც იყო, რომელიც ამ დღისთვის, სპეციალურად **VICTORIA'S SECRET**-ის „ანგელოზისთვის“ შეიქმნა. ჯვრისწერაზე პატარძალს **ZUHAIR MURAD**-ის კაბა ამშვენებდა, რომელმაც მიღებაზე ტრანსფორმაცია განიცადა და ულამაზეს მაქმანის კაბად იქცა. „***გუშინ ნამდვილი ზღაპარი იყო***“, – აღნიშნავს ვიტა ინსტაგრამის ერთ-ერთ ფოტოზე, – „***მე ცოლად გავყევი ჩემი ოცნების მამაკაცს***“.












*Heaven has a place on the Earth*

ციხისძირი, 6100 ქობულეთი
+995 422 21 28 28
sales@castellomare.com
**www.castellomare.com**



# თეონა დვალი
## ქართველი სოპრანო თხოვდება

მსოფლიოში აღიარებული ქართველი სოპრანო – **თეონა დვალი**, თხოვდება. მისი რჩეული, იტალიელი ბიზნესმენი **ჯაკომო რაკუნიოა**. წყვილმა ერთმანეთი ექვსი წლის წინ, მოსკოვში, პლასიდო დომინგოს კონკურსზე გაიცნეს, რომელშიც თეონა მონაწილეობდა. ჯაკომო მელომანია, ზედმიწევნით კარგად იცის და ერკვევა ოპერაში. თეონას შესრულებით მოხიბლულმა ბიზნესმენმა კონცერტის შემდეგ მას ბევრი ქათინაური უძღვნა. ურთიერთობა სოციალური ქსელის საშუალებით გააგრძელეს, წელიწადნახევრის წინ კი ერთად ყოფნა გადაწყვიტეს და წყვილი ახლა უკვე ორი ქორწილის გასამართად ემზადება.

იტალიური ქორწილი 10 სექტემბერს, ქალაქ ნუმანაში, ზღვისპირას მდებარე რესტორანში გაიმართება, საიდანაც ადრიატიკის ზღვის მომაჯადოებელი პანორამული ხედები იშლება. ქორწილში მიწვეულ 150-მდე სტუმარს შორის არიან თეონას ოჯახის წევრები და მეჯვარეები საქართველოდან – **თეონა ბაღდავაძე** და **გვანცა ჭელიძე**. ასევე ის მეგობრები, რომლებიც იტალიაში ცხოვრობენ. საქორწილო სამზადისში თეონას მომავალი დედამთილი ეხმარება, რომლის გემოვნებასაც სოპრანო თვალდახუჭული ენდობა.

რაც შეეხება ქართულ ქორწილს, იგი თბილისში, 24 სექტემბერს გაიმართება. დროის მცირე მონაკვეთში ორი ქორწილის დისტანციურად ორგანიზება საკმაოდ რთულია, ამიტომ თეონა ყველა დეტალს დედასთან ერთად აზუსტებს და მას იტალიიდან მოსაწვევების, ყვავილების, დეკორაციებისა და ტორტის სასურველი დიზაინის ფოტოებს უგზავნის. იტალიურთან შედარებით, ქართული ქორწილი უფრო მასშტაბური იქნება – მასში ბევრი საოპერო და საესტრადო ჟანრის მომღერალი მიიღებს მონაწილეობას.

თეონა ბევრ დეტალს ჯერჯერობით სიურპრიზად ტოვებს და მხოლოდ იმას გვიმხელს, რომ საქორწილო კაბა რომში შეიძინა, რომელიც ესპანურ მოდის სახლ PRONOVIAS-ის 2018 წლის კოლექციიდანაა. კაბა დანახვისთანავე შეუყვარდა და გასინჯვის დროს გულიც კი აუჩქარდა.

**P.S.** ქორწილს ექსკლუზიურად HELLO! აშუქებს. ყველაზე დაუვიწყარი დღის ყველა მნიშვნელოვან დეტალს ჟურნალის შემდეგ ნომერში იხილავთ.

ტექსტი: ნუცა მახარაშვილი. ფოტო: მია მერხია.




# TSU ART
## ჯგუფმა პირველი ალბომი გამოუშვა

ელექტრონულ-ექსპერიმენტული ჯგუფი **TSU ART** 2011 წლის მარტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ექსპერიმენტები, რომელსაც **TSU ART** მსმენელს სთავაზობს, ყველაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. **ლაშა ლორთქიფანიძემ** (*პერკუსია*), **ილია ჭუმბურიძემ** (*პერკუსია*), **დათუნა დგებუაძემ** (*გიტარა*), **ირაკლი გოდერძიშვილმა** (*პერკუსია*) და **ათუკა ედიშერაშვილმა** (*DJ-პროდიუსერი*) მუსიკაში სრულიად განსხვავებული ჟღერადობა დაამკვიდრეს და ინსტრუმენტთა სიას ისეთი სახელები შემატეს, როგორებიცაა ბამბოფონი და მილოფონი.

**TSU ART**-ს სადებიუტო გამოსვლა 2011 წლის სტუდენტურ დღეებზე ჰქონდა. ამის შემდეგ იყო „**არტ-გენი 2011**“, ექსპერიმენტი სიმფონიურ ორკესტრთან და სხვადასხვა კონცერტი. ამჟამად, ბიჭებმა ახალი ალბომი გამოუშვეს და გრანდიოზული კონცერტისთვის ემზადებიან. ალბომის პრეზენტაციის დეტალებს მომდევნო ნომრის ფურცლებიდან გაგაცნობთ.

***„ჩვენი ალბომი ამიერკავკასიის ყველაზე მაღალი დონის სტუდიაში ჩაიწერა. TSU ART ერთი დიდი ექსპერიმენტია, რომელიც კარგ შედეგამდე მივიდა. მგონია, რომ ამ ბენდს უამრავი რამ ელის. მოკლედ რომ გითხრათ, TSU ART მომავლის ბენდია!***“ – აღნიშნავს HELLO!-სთან საუბარში **ათუკა ედიშერაშვილი** (*TSU ART-ის პროდიუსერი*).



ტექსტი: ნუცა მახარაშვილი. ფოტო: ანასტასია კაიშაძე.

# აგროჰაბი

აგროპროდუქტების პირველი ჰიპერმარკეტი საქართველოში





## ხელიდან ხელში

მარშალ გელოვანის გამზ. 22, თბილისი (+995) 032 244 07 07 fb.com/agrohubge agrohub





„ბევრ მანდილოსანთან მქონია ურთიერთობა, თუმცა არ მიმაჩნია, რომ მექალთანე მქვია“ – ირაკლი

# საოცნებო ქორწილი

# ტოპ სასიძოები და საპატარძლოები

## იდეალური დღის დეტალები

მათ აკვირდებიან, აკრიტიკებენ, მოსწონთ და ბაძავენ. ისინი ყოველთვის განხილვის ობიექტები, აქტუალურები და საინტერესოები არიან. ქართული HELLO! ქორწილების სეზონზე ყველაზე სასურველ სასიძოებსა და საპატარძლოებს გაგაცნობთ. გლამურული ფოტოსესიის მონაწილეებად განსხვავებული სფეროების, შეხედულებებისა და სტილის ცნობილი სახეები ავირჩიეთ, რომლებსაც უახლოეს მომავალში სიძეებისა და პატარძლების ამპლუაში რეალურ ცხოვრებაში იხილავთ.

### ირაკლი მაქაცარია

*(ტელეწამყვანი)*

**ძალიან პოპულარული ბრძანდებით და ალბათ ბევრ მანდილოსანს აქვს თქვენ მიმართ სიმპათია...**

ი.მ. საბოლოოდ, არასოდეს მართლდება ის, რაც მიფიქრია. წინასწარ ვერ იტყვი, როგორი იქნება ის ერთადერთი. ბევრ მანდილოსანთან მქონია ურთიერთობა, თუმცა არ მიმაჩნია, რომ მექალთანე მქვია. ზოგადად, ეს სტატუსი ძალიან შეურაცხმყოფელი მგონია. ვფიქრობ ერთგული ადამიანი ვარ და ყველა ჩემი ურთიერთობა სიმპათიასა და ნდობაზე იყო დაფუძნებული. ალბათ უკრაინის თემამ ჩამომიყალიბა ის იმიჯი, რაც მედიაში შემიქმნეს. იქ გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა იმას, რომ 30 გოგონადან 1 უნდა აგერჩია. რეალურ ცხოვრებაში სულ სხვანაირად ხდება. მონოგამიური ურთიერთობების მომხრე ვარ.

**როგორი უნდა იყოს ის ერთადერთი, რომელიც თქვენ გვერდით წარმოგიდგენიათ?**

ი.მ. ყოველთვის აქტიურად ვარ დაკავებული და არ მაქვს ფიქსირებული სამუშაო გრაფიკი. მესმის, რომ ამ რიტმზე აწყობა რთულია. მანდილოსანი, რომელთანაც დარჩენილი ცხოვრების გატარებას გადავწყვეტ, ალბათ ძალიან ძლიერი ხასიათის უნდა იყოს. ვერ მექნება ურთიერთობა ქალთან,



**„ვფიქრობ, თუ მეორე ნახევარს სწორად შევარჩევ, ერთობლივად გადავწყვეტთ, როგორი ქორწილი გვექნება“ – ლიკა**

**„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები ადრეულ ასაკში შეუღლდნენ, არ მიმაჩნია, რომ ეს ჩემს გადაწყვეტილებაზე რაიმე გავლენას იქონიებს. არ არსებობს ოჯახის შექმნისთვის სწორი დრო. მთავარია განვითარდე, კარიერას მიხედო, შედგე, როგორც ადამიანი და შემდეგ ეს ეტაპიც თავისთავად მოვა. დღეს კი, ჯერ მაგისტრატურაზე გამოცდები უნდა ჩავაბარო, კარიერულად განვვითარდე, ამიტომ პირად ცხოვრებაზე ჯერჯერობით ნაკლებად ვფიქრობ, თუმცა არავინ იცის, ხვალ რა შეიძლება მოხდეს“ - ნინი**

რომელიც სუსტი და დამყოლია. როდესაც ქალი ცდილობს ყველაფერში მოგერგოს და მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც შენ ამბობ, ინტერესიც იკარგება. ინდივიდუალური, ჭკვიანი და ძლიერი ქალი ყველაზე სასურველია.

**ბევრი ქალი პატარა ასაკიდან წარმოიდგენს, როგორი ქორწილი სურს ჰქონდეს. თქვენ თუ გიფიქრიათ ამ დღის შესახებ?**

ნ.მ. გულწრფელად გეტყვით, რომ არასოდეს მიფიქრია საკუთარ ქორწილზე. მე მგონი ქალები ამაზე უფრო ხშირად ფიქრობენ. ქორწილი ჩემთვის ორი ადამიანის სამუდამოდ დაკავშირების აღნიშვნაა. ძალიან დიდი დატვირთვა აქვს ჯვრისწერის ცერემონიას. არ მიყვარს დიდი ქორწილები და ასობით სტუმარი. მიმაჩნია, რომ ამ დღეს წყვილის გვერდით მხოლოდ ახლო მეგობრები და ოჯახის წევრები უნდა იყვნენ.

## ლიკა ქორქია *(ტელეწამყვანი)*

**როგორია თქვენთვის იდეალური ქორწილი?**

ლ.ქ. ზოგადად, ქორწილების მიმართ უცნაური დამოკიდებულება მაქვს. არ მიყვარს ტიპური ქორწილები. არ მიყვარს ქორწილებში სიარული და ყოველთვის დისკომფორტს განვიცდი. არ მიყვარს სადღეგრძელოები, ბევრი, ერთმანეთისთვის უცხო ხალხი და ა.შ. ეს ყველაფერი ვალის მოხდად უფრო მიმაჩნია. ვფიქრობ, თუ მეორე ნახევარს სწორად შევარჩევ, ერთობლივად გადავწყვეტთ, როგორი ქორწილი გვექნება. ნამდვილად არ ვარ პომპეზურობის მომხრე. ბავშვობიდან მაქვს წარმოდგენილი, რომ ჩემი ქორწილი სადმე, ზღვის ქვიშიან სანაპიროზე, 15-20 ადამიანის წრეში ჩაივლიდა.

**ოცნების კაბა როგორი წარმოგიდგენიათ?**

ლ.ქ. კაბაც ზუსტად ვიცი, როგორი მექნება. ▶



„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის ხასიათია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ეჭვიანი. ეს მეორე ნახევრის ძალიან დიდი შეურაცხყოფაა“ – ნინი



ტილოს სადა კაბაში ვიქნები გამოწყობილი, სტუმრებიც იგივე ტონალობებით იქნებიან წარმოდგენილნი და ყველაფერი სადა, ლამაზი იქნება. ბავშვობიდან ასეთი წარმომედგინა ჩემი ქორწილი. გაცილებით მომწონს ევროპული ქორწილები – ცივილიზებული ელემენტებით. არ მიყვარს, როდესაც ქართული ქორწილი ღრეობაში გადადის.

**როგორი უნდა იყოს ამ იდეალური ქორწილის მთავარი კომპონენტი – სიძე?**

ლ.ქ. ნელ-ნელა ვხვდები, რომ ძალიან დაგეგმილად ვცხოვრობ. ყოველთვის ზუსტად ვიცოდი, რომ 30 წლამდე არ გავთხოვდებოდი. ჩემი აზრით, ოჯახი ძალიან ფაქიზი თემაა. თუ ამ ნაბიჯს დგამ, ოჯახისთვის უზომოდ დიდი რესურსი უნდა გამოყო. მე ეს რესურსი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი მთლიანი ენერგია კარიერისკენ მაქვს მიმართული. თუ საკუთარი თავი მაქსიმალურად არ გამოვცადე და არ დავიხარჯე, ვერასოდეს გადავდგამ ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს. უპირველესად, ჩემი მეორე ნახევარი ის ადამიანი იქნება, რომელსაც უზომოდ ვენდობი. როდესაც ხედავ, რომ მასში ძალიან დიდი პოტენციალია და შენს პოტენციალსაც ხელს უწყობს, როდესაც ერთობლივად ქმნით რაღაცას, ეს ყველაფერი იდეალურ ოჯახს ქმნის.

## ცოტნე ზურაბიანი *(პოლიტიკოსი)*

**რა ასაკში დგება მომენტი, როდესაც ოჯახის შექმნაზე იწყებ ფიქრს?**

ც.ზ. ხშირ შემთხვევაში პირად ცხოვრებაზე მოქმედებს დროის სიმცირე, დღევანდელი რეჟიმი... ხშირად განვიცდი თუნდაც მეგობრებთან ერთად ყოფნის ნაკლებობას, თუმცა დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული, და ეს ხელს არ უშლის იმ ეტაპისთვის მომზადებას, როდესაც ოჯახის შექმნაზე იწყებ ფიქრს.

**როგორი უნდა იყოს ქალი, რომელიც ამ გიჟურ რიტმს შეეგუება და ფეხს აუწყობს?**

ც.ზ. უნდა იყოს ძალიან ლამაზი, ჭკვიანი და აქტიური. უნდა იყოს პროფესიულად შემდგარი და უყვარდეს საკუთარი საქმე. ხშირად ამბობენ, რომ მამაკაცებს ჭკვიანი ქალების ეშინიათ. მე ასე არ მიმაჩნია. ▶

**„ნელ-ნელა ვხვდები, რომ ძალიან დაგეგმილად ვცხოვრობ. ყოველთვის ზუსტად ვიცოდი, რომ 30 წლამდე არ გავთხოვდებოდი. ჩემი აზრით, ოჯახი ძალიან ფაქიზი თემაა. თუ ამ ნაბიჯს დგამ, ოჯახისთვის უზომოდ დიდი რესურსი უნდა გამოყო" - ლიკა**



**თქვენი პოლიტიკური შეხედულებებიც უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს?**
ც.ზ. ქალბატონს, რომელიც ჩემ გვერდით იცხოვრებს, ალბათ ისეთივე შეხედულებები და მისწრაფებები ექნება, როგორიც მე მაქვს.

**გიფიქრიათ ქორწილზე?**
ც.ზ. ძალიან მიყვარს ქორწილის ტრადიცია – დაწინდვით და ნიშნობით დაწყებული, ჯვრისწერით დამთავრებული. ვფიქრობ აუცილებლად მექნება ქორწილი. მახსოვს, როდესაც იერუსალიმში, მაცხოვრის ტაძარში ვიყავით, მომინდა ჩემი ჯვრისწერაც იქ ჩატარებულიყო. სხვათა შორის, არ მიყვარს ამ თემის მიმართ კონსერვატიული მიდგომა. ძალიან მომეწონებოდა ზღვისპირას, ან ღია ცის ქვეშ ქორწილი.

## ნინი გოგიჩაიშვილი *(მოდელი)*

**რამდენად მოქმედებს მშობლების ფაქტორი, როდესაც ოჯახის შექმნაზე ფიქრობ?**
ნ.გ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები ადრეულ ასაკში შეუღლდნენ, არ მიმაჩნია, რომ ეს ჩემს გადაწყვეტილებაზე რაიმე გავლენას იქონიებს. არ არსებობს ოჯახის შექმნისთვის სწორი დრო. მთავარია განვითარდე, კარიერას მიხედო, შედგე, როგორც ადამიანი და შემდეგ ეს ეტაპიც თავისთავად მოვა. დღეს კი, ჯერ მაგისტრატურაზე გამოცდები უნდა ჩავაბარო, კარიერულად განვვითარდე, ამიტომ პირად ცხოვრებაზე ჯერჯერობით ნაკლებად ვფიქრობ, თუმცა არავინ იცის, ხვალ რა შეიძლება მოხდეს.

**კარიერაზე ფიქრი ხელს არ უშლის საოცნებო ქორწილის დაგეგმვას. თუ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნება ის მნიშვნელოვანი დღე?**
ნ.გ. არასოდეს მიოცნებია პომპეზურ ქორწილებზე. უფრო სადა, პატარა ცერემონიები მომწონს, რომლებსაც მხოლოდ ოჯახის წევრები ესწრებიან. კაბაც მარტივი და ლამაზი დიზაინის მინდა. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენს დახარჯავ კაბაში, მთავარია გიხდებოდეს და შენს ხასიათს ერგებოდეს.

**როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელიც თქვენს გულს დაიპყრობს?**
ნ.გ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის ხასიათია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ეჭვიანი. ეს მეორე ნახევრის ძალიან დიდი შეურაცხყოფაა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იუმორის გრძნობას. უნდა იყოს განათლებული. მიმაჩნია, რომ ინტელექტი და იუმორი პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. რაც მთავარია, ერთნაირი ფასეულობები უნდა გვქონდეს. ვფიქრობ, ნდობის გარეშე ვერცერთი ურთიერთობა ვერ შედგება და ნდობა ოჯახის ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილია.

**ერთი რამ, რაც აუცილებლად იქნება თქვენს ქორწილში?**
ნ.გ. უამრავი ყვავილი. ყვავილების გარეშე ჩემი ქორწილი ვერ წარმომიდგენია. ▶

„ხშირად ამბობენ, რომ მამაკაცებს ჭკვიანი ქალების ეშინიათ. მე ასე არ მიმაჩნია“ – ცოტნე



„კაბაც ზუსტად ვიცი, როგორი მექნება. ტილოს სადა კაბაში ვიქნები გამოწყობილი, სტუმრებიც იგივე ტონალობებით იქნებიან წარმოდგენილნი და ყველაფერი სადა, ლამაზი იქნება. ბავშვობიდან ასეთი წარმომედგინა ჩემი ქორწილი“ - ლიკა





„ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქალის განათლებას, ერუდიციას. ძალიან ბევრი რამ მოდის განათლებიდან, თუნდაც რაღაც ფაქტებთან შეგუება“ – მურატი

„მანდილოსანი, რომელთანაც დარჩენილი ცხოვრების გატარებას გადავწყვეტ, ალბათ ძალიან ძლიერი ხასიათის უნდა იყოს. ვერ მექნება ურთიერთობა ქალთან, რომელიც სუსტი და დამყოლია“ - ირაკლი



# „ალბათ იახტაზე მექნება ქორწილი – ოჯახის წევრებისა და მეგობრების წრეში“ – მურატი

## მურატ ცინცაძე
*(პლასტიკური ქირურგი)*

**როგორი გემოვნება აქვს პლასტიკურ ქირურგს?**
**მ.ც.** ზოგადად, ბუნებრივობა ყოველთვის ფასობს, მაგრამ როდესაც რაღაც ხელოვნურადაა შეცვლილი, მთავარია ეს ყველაფერი კარგად და ბუნებრივად იყოს გაკეთებული.

**საკუთარ მეუღლეს თუ ურჩევდით პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას?**
**მ.ც.** თუ მას საკუთარ გარეგნობაში რაიმე დეტალი კომპლექსს უქმნის, წინააღმდეგი არ ვიქნები. ზოგადად, პლასტიკურ ქირურგიას კომპლექსების გამო მიმართავენ. როდესაც კორექციას იკეთებს, ქალი უფრო თავდაჯერებული და რეალიზებული ხდება.

**როგორი უნდა იყოს მანდილოსანი, რომელიც წარმატებული პლასტიკური ქირურგის რიტმს ფეხს აუწყობს?**
**მ.ც.** ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქალის განათლებას, ერუდიციას. ძალიან ბევრი რამ მოდის განათლებიდან, თუნდაც რაღაც ფაქტებთან შეგუება. ვფიქრობ, ჩემნაირი ტიპაჟი უნდა იყოს და ალბათ ეს საუკეთესო ტანდემი იქნება.

**რამდენად ითვალისწინებთ პირად ცხოვრებაში ოჯახის აზრს?**
**მ.ც.** გადაწყვეტილებას მე ვიღებ. რა თქმა უნდა, გარკვეული დოზით ვიღებ რჩევებს, თუმცა ჩემი და ოჯახის აზრი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს.

**ამბობენ, ექიმები ძალიან პრაგმატულები არიანო. ამ პროფესიის წარმომადგენელს რამდენად გიზიდავთ ქორწილის ცნება?**
**მ.ც.** ალბათ მეც უმრავლესობაში შევდივარ და მიმაჩნია, რომ საყვარელი ადამიანის გვერდით ცხოვრებისთვის ქორწილი, თეთრი კაბა და 300 მოწმე აუცილებელი არაა, თუმცა ვფიქრობ, ქორწილს გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს.

**როგორ ქორწილს გადაიხდიდით?**
**მ.ც.** ალბათ იახტაზე მექნებოდა ქორწილი – ძალიან ვიწრო, ოჯახის წევრებისა და მეგობრების წრეში. ეს აუცილებლად ბათუმში იქნება. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი.

---

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო:** იკა პირველი
**სტილი**: სოფო იოსელიანი, თათია ლაშაური
**ჩაცმულობა და აქსესუარები:** MARIGOLD, SARARI, ALDO
**ლოკაცია**: შატო მუხრანი



captain plus

მ. ბროსეს ქ. №2
242 40 40
facebook.com/capplus
www.captain.ge




# თვის დღიური










## HELLO! POOL & COCKTAIL PARTY

აუზი, მუსიკა, გართობა და რა თქმა უნდა ჟურნალი, რომელიც ვარსკვლავების ცხოვრებაში თქვენი ყოველთვიური თანამგზავრია – ზაფხულის სეზონი HELLO!-მ მორიგი წვეულებით დახურა. აგვისტოს ნომრის პრეზენტაციაც **კრწანისის რეზიდენციის აუზზე** შედგა. HELLO! მეგობრული ჟურნალია. ასე რომ, რესპონდენტებს და მეგობრებს მსგავსი ღონისძიებებით ხშირად ანებივრებს. ამჯერად აუზზე თავი იმ ცნობილმა სახეებმა მოიყარეს, რომლებიც ჟურნალის გარეკანზე თუ მის ფურცლებზე ხშირად ხვდებიან.
































შუაგულ ზაფხულში, აუზზე ერთი გრილი დღის გატარება არავის აწყენს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასპინძელი ის პრიალა ჟურნალია, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვან და საინტერესო თემებზე ყოველთვიურად წერს.

კრწანისის რეზიდენციის აუზზე გამართული **POOL PARTY** სეზონის ბოლო წვეულებაა, რომლითაც საზაფხულო სეზონი იხურება.













საჩუქარი HELLO!-სგან

პირველი 5 გამომწერი




საჩუქრად მიიღებს
კოსმეტიკურ ნაკრებს FABERLIC-ისგან

# გამოიწერეთ

ფასდაკლებით

HELLO! GEORGIA

38 ₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით
HELLO!
თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

# HELLO! lifestyle



ბელა ჰადიდმა სეზონის ორი მოდური ტონი – ბეჟი და წითელი ერთმანეთს საკმაოდ გემოვნებით შეუხამა.

ტექსტი: თათია ლაშაური. ფოტო: GETTY IMAGES.




*SHOPPING*

## *GET THE LOOK!*

**ბელა ჰადიდის** პარიზული სტილი საშემოდგომო გარდერობისთვის იდეალური ინსპირაციაა. საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ HAUTE COUTURE კვირეულზე სტუმრობისას, სუპერმოდელი პაპარაცების ობიექტივში სეზონის HOT-ტენდენციების მიხედვით გამოწყობილი იხილეს. ბელამ წითელისა და ბეჟის შეხამებასთან ერთად, შესაბამისი აქსესუარებისა და სამკაულების მორგებაც კარგად მოახერხა. მაღალწელიან შარვალთან, მოდელმა თეთრი ტოპისა და შემოსასცმელის ჩაცმა არჩია, რასაც ბორდოსფერი ტყავის ჩანთა და წითელი სათვალე შეუხამა.

**1.** ბრეტელებიანი ტოპი **TOPSHOP** 20₾; **2.** საყურე **JENNIFER FISHER** 700₾ **net-a-porter.com;** **3.** სათვალე **STELLA MCCARTNEY** 700₾ **shopbop.com**; **4.** სვიტერი **LOVE MOSCHINO** 290₾ **farfetch.com; 5.** ჩანთა **SERAPIAN** 1400₾ **farfetch.com; 6.** ტუჩ-საცხი **TOM FORD** 120₾ **johnlewis.com; 7.** კლასიკური ქუსლიანი ფეხსაცმელი **KAREN MILLEN** 400₾ **karenmillen.com**; **8.** მაღალწელიანი შარვალი **CITYSHOP** 560₾ **farfetch.com**

FASHION

# FALL 2017 in 8 trends

შემოდგომა მოდის სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო თვეა. გარდამავალი სეზონი ყველაზე არაპროგნოზირებადი და საინტერესო პერიოდია მოდური ექსპერიმენტებისა და სიახლეებისთვის. სწორედ ამიტომ, ტენდენციებიც ელვის სისწრაფით იცვლება. **HELLO!**-ს მოდის რედაქტორმა ჩვენი მკითხველისთვის 2017 წლის შემოგომის ყველაზე ცხელი 8 ტრენდი შეარჩია




## SPACE ODYSSEY

1980-იანი წლების სტილი მოდაში უკვე რამდენიმე სეზონია დაბრუნდა, თუმცა ამ ტენდენციას 2017 წლის შემოდგომამ სრულიად განსხვავებული ელფერი შესძინა. „დისკოს" ეპოქისთვის დამახასიათებელ მბზინვარებასა და პომპეზურობას დიზაინერებმა ამჯერად ასტრონავტების სპეცსამოსით ინსპირირებული ფორმები, ფაქტურები და განიერი მხრები შეუხამეს. **BOTTEGA VENETA** და **PACO RABANNE**-ის ფუტურისტული ქალი დახვეწილი და კლასიკურია, **J.W ANDERSON**-ისა კი უფრო სპორტული და მინიმალისტური.




## BRIGHT SCARLET

წითელი ყველა დროის ყველაზე სექსუალური და დახვეწილი ფერია, რომელიც მოდიდან თითქმის არასოდეს გადადის. ამ სეზონზე დიზაინერები ამ ტონის ყველაზე მკვეთრ და მხიარულ გრადაციებს გვთავაზობენ. ნარინჯისფერში გარდამავალი ნათელი წითელი 2017 წლის შემოდგომის IT ტონალობაა. შემატეთ თქვენს გარდერობს ამ ფერის კოქტეილის კაბა დეკონსტრუქციის ელემენტებით და არ დაგავიწყდეთ შესაბამისი სამკაული თუ აქსესუარები.




## POWER WOMEN

დიდი ზომის პიჯაკები განიერი მხრებითა და OVERSIZED სილუეტებით ამ სეზონზე ძლიერი ქალის უნიფორმად იქცა. FORMAL სტილის კლასიკურმა სამოსმა, ოფისებიდან ქუჩაში გადმოინაცვლა. **CELINE**-ის ქალი 2017 წლის შემოდგომისთვის მასკულინურ OVERSIZED სილუეტებს თეთრსაყელოიან პერანგს უხამებს, **JIL SANDER** კი ბორდოსფერ პიჯაკსა და შარვალთან ერთად, შავი, ყელიანი ბლუზის ტარებას გვირჩევს.




## SAY NO TO PANTS

შემოდგომა მოდური ექსპერიმენტებისა და ვარიაციებისთვის საუკეთესო პერიოდია. გარდამავალ სეზონზე ზოგიერთი ტენდენცია სულ სხვაგვარ დანიშნულებასა და იდეას იძენს. წელს TRENCH ლაბადებმა კლასიკური სტილის კაბები ჩაანაცვლა, პიჯაკების, შარვლებისა და ქვედაბოლოების გარეშე ტარებამ კი, ქუჩის მოდის ყველაზე HOT-ტენდენციებში წამყვანი პოზიციები დაიკავა.




# FLORAL MAGIC

ყვავილებიანი პრინტები საზაფხულო სეზონის მოდური ტენდენციების ერთგვარი გადმონაშთია, რომელიც შემოდგომაზეც არანაკლედ პოპულარული იქნება. თუ აგვისტოში გრძელ FLORAL სარაფნებსა და ჰაეროვან შემოსაცმელებს ატარებდით, შემოდგომაზე ტროპიკული და ეგზოტიკური პრინტები ე.წ. გაბერილ ქურთუკებს, პიჯაკებსა და პონჩოებსაც შეგიძლიათ მოარგოთ.




## ETHNIC DETAILS

ყველა FASHIONISTA-სთვის გამორჩეულად საყვარელი ტრენდი არც ამ სეზონზე კარგავს აქტუალურობას. ეთნოდეტალებითა და TRIBAL ელემენტებით შექმნილი სამოსი ყოველთვის ყველაზე ეკლექტური და გამორჩეულია. შეარჩიეთ ბოჰემური სტილის STATEMENT-პონჩოები, შემოსაცმელები, ქურთუკები და შეუხამეთ ისინი ვინტაჟური სტილის ნაქარგებიან დენიმსა და გრძელ ჰაეროვან სარაფნებს. გაამახვილეთ აქცენტი ხელით შექმნილ დეტალებსა და მასიურ სამკაულებზე.




## CHOCOLATE BROWN

არაფერი უხდება შემოდგომას ისე, როგორც სამოსზე გადმოტანილი ფოთოლცვენის ფერები. მუქი ყავისფერი, ჩალისფერი და ბეჟი ამ სეზონის ყველაზე დახვეწილი და დელიკატური მოდური ტონალობებია. შეუხამეთ ყავისფერი ლაბადები მონოქრომული ტონის ჰაეროვან კაბებს, ბოტფორდებსა და თეთრ პერანგებს. შემატეთ თქვენს გარდეროზს CASUAL-სტილის მინიმალისტური პიჯაკები და ბლუზები ამ დახვეწილ ფერთა კომბინაციებით.




## GAME OF FUR

თუ ზაფხულის ნოსტალგია გამოგყვათ და მკვეთრ ფერებს ვერ ელევით, დიზაინერებს თქვენთვის სასიამოვნო სიახლე აქვთ – ამ შემოდგომაზე ყველაზე თბილი და კომფორტული ბეწვის ქურქები და ქურთუკები სწორედ საზაფხულო ფერებშია გადაწყვეტილი. მხიარული ჟოლოსფერი, პოტნისფერი, სალათისფერი და ყვითელი – 2017 წლის შემოდგომაზე მოდური ქურქები თქვენი სეზონური გარდერობის ყველაზე ფერადი ატრიბუტები იქნება. და პრინტების კომბინაციებში და ნურც სამკაულები დაგავიწყდებათ.



FASHION

# Christian Dior

**1947 წლიდან დღემდე DIOR-ი ყველაზე გემოვნებიანი ქალბატონებისთვის ქმნის სამოსს. ფრანგული სტილითა და ფუფუნებით თავბრუდახვეული პრინცესები, პირველი ლედები, პოპვარსკვლავები და ჰოლივუდელი მსახიობები „წითელი ხალიჩისა“ და მაღალი რანგის წვეულებებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ამ ბრენდს ანდობენ საკუთარ LOOK-ს**

კრისტიან დიორს ჰქონდა მიზანი, შეექმნა სამოსი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რომანტიკას მოწყურებული ქალბატონებისთვის, თუმცა მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ბრენდი მსოფლიოს დაპყრობას 70 წლის შემდეგაც განაგრძობდა.

DIOR-ის პირველმა ჩვენებამ  პარიზში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა – თამამი სილუეტები, დაბალწელიანი ქვედაბოლოები და თხელი ბრეტელები იმდროინდელი საფრანგეთისა და მთელი მსოფლიოსთვის ქალის სამოსისა და სხეულის სრულიად ახლებურად აღქმის სიმბოლო გახლდათ. მას შემდეგ DIOR-ის კრეატიული ხელმძღვანელის პოსტი შვიდმა სხვადასხვა დიზაინერმა დაიკავა და თითოეულმა მათგანმა საკუთარი ეპოქა შექმნა, თუმცა არცერთს გადაუხვევია კრისტიან დიორის მიერ არჩეული გზიდან – 70 წლის მანძილზე, ბრენდი ფრანგული ფუფუნებისა და მაღალი მოდის სინონიმად მიიჩნევა. DIOR-ის ისტორიის რეტროსპექტივა მომავალი წლის იანვრამდე შეგიძლიათ იხილოთ პარიზის MUSEE DES ARTS DECORATIFS-ში წარმოდგენილ გამოფენაზე.

მოდის სახლის ერთ-ერთი პირველი საპატიო თაყვანისმცემელი ბრიტანეთის პრინცესა მარგარიტა გახლდათ. რომანტიკული და დელიკატური სტილის მოყვარულმა დიდგვაროვანმა DIOR-ის არაერთი ქმნილება მოირგო, თუმცა ყველაზე დასამახსოვრებელი ის კაბა აღმოჩნდა, რომელიც კრისტიანმა მისი დაბადების დღისთვის შექმნა.  „ყველა დროის საუკეთესო კაბა“, – ასე დაახასიათა პრინცესამ მისი LOOK-ი. მოდის სახლის დიდი ქომაგი გახლდათ ირანის იმპერატორის მეუღლეც – ფარა დიბა ბრენდის იმდროინდელ კრეატიულ ხელმძღვანელს – ივ სენ



**ჟაკლინ კენედისა და ირანის იმპერატორის მეუღლის შემდეგ, DIOR-ის სამოსი ამჯერად თანამედროვე ვარსკვლავების ფავორიტია**

ლორანს ნამდვილ გენიოსს უწოდებდა. DIOR-ის მოყვარული მაღალი რანგის ქალბატონების სია მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრებისგან როდი შედგებოდა – მიუხედავად იმისა, რომ ჟაკლინ კენედი პროტოკოლის მიხედვით ძირითადად ამერიკელი დიზაინერების შექმნილ სამოსს ატარებდა, ლეგენდარულმა ქალბატონმა მაინც ვერ გაუძლო ცდუნებას და თეთრ სახლში, ერთ-ერთ მიღებაზე, სწორედ DIOR-ის კაბით გამოჩნდა. მის შემდეგ, კრისტიან დიორის თაყვანისმცემლებს შორის მალევე აღმოჩნდნენ კინოს ვარსკვლავები – ელისაბედ ტეილორი და სოფი ლორენი. ამ ტრადიციას კი ახლა რიანა და შარლიზ ტერონი აგრძელებენ.

DIOR სწორედ ის ბრედია, რომელიც ყველაზე მეტად ასოცირდება მაღალ მოდასა და ფუფუნებასთან. ამის მიზეზი კი მოდის სახლის დამფუძნებლის მიერ დანერგილი მიდგომაა, რომელიც ქსოვილებზე ხელით მუშაობასა და თითოეულ დეტალზე მაქსიმალურ ყურადღებას გულისხმობს. ცხადია, სამოსი არაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ბრენდი მთელ მსოფლიოში იქცა კლასიკად. კრისტიან დიორის შექმნილი სუნამოებიც ქალურობისა და ფრანგული დახვეწილობის სიმბოლოდაა მიჩნეული. ▶



პრინცესა დიანა



შარლიზ ტერონი



სელინ დიონი

**პარიზულ სახელოსნოში გაჩენილმა იდეამ მალევე დაიპყრო მთელი მსოფლიო. პრინცესა დიანა ძალზე იშვიათად ცხადდებოდა საზოგადოებაში DIOR-ის ჩანთის გარეშე. სწორედ მის პატივსაცემად ეწოდა ამ ნივთს LADY DIOR. ბრენდის თაყვანისმცემლებს შორის შეხვდებით ისეთ ცნობილ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან შარლიზ ტერონი, რიანა, კარლა ბრუნი და სელინ დიონი.**



რიანა



კარლა ბრუნი



## CHRISTIAN DIOR
1947 – 1957

ლეგენდარული ბრენდის დამფუძნებელი, რომელმაც მოდის ინდუსტრია სამუდამოდ შეცვალა, ინსპირაციად დედის – მადელინეს გარდეროფს იყენებდა. იმდროინდელი პარიზული ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქალბატონის სტილი კრისტიანის უამრავი კოლექციის შთაგონების წყაროდ იქცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, **DIOR**-ის **HAUTE COUTURE** სამოსმა მალევე შეიძინა თაყვანისმცემლების მთელი არმია როგორც ევროპაში, ასევე ოკეანის გადაღმა. პრინცესა მარგარიტა და ელისაბედ ტეილორი, სხვა მაღალი რანგის ქალბატონების მსგავსად, ფრანგული მოდის სახლის ელიტარულ კლიენტებს შორის გახლდნენ.












## DIOR AND HOLA!
**HELLO!**-სა და **DIOR**-ის თანამშრომლობის ისტორია უამრავ წელს ითვლის. 1944 წელს ესპანეთში გამოცემული ჟურნალი ფრანგული მოდის სახლის ქრონოლოგიას ყოველთვის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ივ სენ ლორანის ლეგენდარული კოლექცია – „ᲢᲠᲐᲞᲔᲪᲘᲐᲡ“, სწორედ **HOLA!**-ს გარეკანზე აღმოჩნდა.

## YVES SAINT LAURENT
1957 – 1960

კრისტიან დიორის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, **DIOR**-ის სათავეში მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა **Couture** ივ სენ ლორანი მოვიდა. სწორედ მან შექმნა ირანის იმპერატორის მეუღლისთვის საქორწილო კაბა 1959 წელს. ახალგაზრდა დიზაინერის სადებიუტო შოუ ერთ-ერთმა გამოცემამ ასე შეაფასა: „ივ სენ ლორანი ნამდვილი ჟანა დ’არკია, მან საფრანგეთი იხსნა“. პუბლიკისა და კრიტიკოსების მხრიდან ამგვარი შეფასებები ნამდვილად არ გახლდათ გადაჭარბებული — ივ სენ ლორანმა მართლაც მოახდინა რევოლუცია მოდის სამყაროში. სწორედ მის ხელწერასა და ხედვას უნდა ვუმადლოდეთ ტრაპეციის ფორმის კაბებისა და ლაბადების მოდაში შემოტანას.














## MARC BOHAN
1960 – 1989

**დიზაინერი, რომელიც ბრენდს 3 ათწლეულის მანძილზე ხელმძღვანელობდა, თანაბარი ოსტატობით ზრუნავდა HAUTE COUTURE სამოსის შექმნასა და მაღალი რანგის ქალბატონების გარდერობის გამდიდრებაზე. მისი ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი კოლექციის ინსპირაცია 1965 წელს გადაღებული ლეგენდარული ფილმი — „ექიმი ჟივაგო“ გახდა. ბოანი ხშირად ზრუნავდა სოფი ლორენის სასცენო გარდერობზეც. ის ასევე გახლდათ გრეის კელის საყვარელი დიზაინერი. მარკ ბოანმა სხვადასხვა დროს საქორწილო კაბები შვედეთის დედოფალ სილვიასა და მონაკოს პრინცესა კაროლინასთვისაც შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, უპირატესობას ამერიკელ დიზაინერებს ანიჭებდა, ჟაკლინ კენედის მაინც ხედავდნენ საზოგადოებაში ბოანის შექმნილი სამოსით.**






## DIOR AND HOLA!
**1980-იანი წლების ლეგენდადქცეული ფილმის, „ცისფერი ლაგუნას“ მთავარმა გმირმა - ბრუკ შილდსმა HOLA!-ს გარეკანი 1985 წელს დაამშვენა. ახალგაზრდა მსახიობი სწორედ DIOR-ის სამოსში გახლდათ გამოწყობილი.**

## DIOR-ის კონცეფცია ყოველთვის გულისხმობდა კლასიკური სილუეტებისა და თანამედროვე ელემენტების სინთეზს

დაუჯერებელია, მაგრამ კრისტიან დიორი მოდის სახლს სულ რაღაც 10 წელი მართავდა, თუმცა მარტივად მოახერხა მთელი ეპოქა შეექმნა. მისი გარდაცვალების შემდეგ პოსტი 21 წლის ივ სენ ლორანმა დაიკავა და ღირსეულად განაგრძო კრისტიანის მიერ არჩეული გზა. 1960-იანი წლების ლეგენდარულმა დიზაინერმა DIOR-ი სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა, შესძინა უფრო მეტი ავანგარდულობა და ექსცენტრიკულობა.

წინამორბედის მსგავსად, ლეგენდარული აღმოჩნდა მარკ ბოანის შექმნილი კოლექციებიც. DIOR-ის ისტორიაში კრეატიული ხელმძღვანელის პოსტს ყველაზე დიდი დროით სწორედ ეს დიზაინერი იკავებდა. განათლებით არქიტექტორი ბოანი ბრენდს 30 წლის განმავლობაში უძღვებოდა.

გვიან 1980-იან წლებში, DIOR-ში საკადრო ცვლილებებმა უპრეცედენტო სახე მიიღო – ბრენდის მმართველობა პირველად გადაიბარა უცხოელმა დიზაინერმა. ჯანფრანკო ფერემ განსაკუთრებული წვლილი READY TO WEAR კოლექციებისა და აქსესუარების ხაზის დახვეწაში შეიტანა. სწორედ მას ეკუთვნის ლეგენდარული ჩანთის, ვარსკვლავების უცვლელი MUST-HAVE-ის — LADY DIOR-ის შექმნის იდეაც. ▶




## GIANFRANCO FERRÉ
1989 – 1996

იტალიელი დიზაინერის ფრანგული ბრენდის მმართველად დანიშვნას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, თუმცა ჯანფრანკო ფერემ მალე გააქარწყლა ყველა ეჭვი იმის შესახებ, რომ DIOR-ს ღირსეულად ვერ გაუძღვებოდა. 1989 წელს შექმნილი სადებიუტო კოლექციისთვის ფერეს Dé d'Or-ის პრესტიჟული ჯილდო გადაეცა. იტალიელმა დიზაინერმა ძალიან კარგად მოახერხა READY TO WEAR კოლექციების დახვეწა და ახალი საკულტო აქსესუარების შექმნა. სწორედ მას ეკუთვნის LADY DIOR-ის ჩანთაც, რომელიც დღემდე ბრენდის ბესტსელერთა სიაშია. ჯანფრანკო ფერეს უცვლელი მუზა იმ დროისთვის DIOR-ის მოდელი და შემდგომში საფრანგეთის პირველი ლედი – კარლა ბრუნი გახლდათ.

### DIOR AND HOLA!
1990-იანი წლები სუპერმოდელების ეპოქა გახლდათ. ჰელენა კრისტენსენი და კარლა ბრუნი ამ პერიოდში HOLA!-ს გარეკანზე, DIOR-ის COUTURE სამოსში გამოწყობილები ვიხილეთ.





## JOHN GALLIANO
1997 – 2011

გალიანო 14 წელი ინარჩუნებდა ყველაზე ექსტრავაგანტური დიზაინერის სტატუსს. მისი შოუები ყოველთვის თეატრალიზებული დადგმებითა და დრამატული განვითარებებით გამოირჩეოდა. წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო პასტელის ფერებსა და დელიკატურ დეტალებზე მუშაობდნენ, გალიანომ ბრენდის კოლექციებში ჭრელი პრინტები და მე-19 საუკუნის სილუეტები შემოიტანა. მის თაყვანისმცემელ ქალბატონთა სიაში, საპატიო ადგილს, სხვებთან ერთად, პრინცესა დიანაც იკავებდა.






### DIOR AND HOLA!
ჯონ გალიანოს დახვეწილი სილუეტები და მე-19 საუკუნით ინსპირირებული ფორმები თუ დეტალები მთელი ეპოქისთვის გახდა ინსპირაცია. მისი შექმნილი სამოსი, სხვა წამყვან ჟურნალებთან ერთად, HOLA!-ს გარეკანსაც ხშირად ამშვენებდა.





## RAF SIMONS
2012 – 2015

**დიზაინერი, რომელიც DIOR-ის სათავეში მოსვლამდე ავეჯის დამზადებით იყო დაკავებული, მამაკაცებისთვის შექმნილ სამოსის ხაზსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა. ფრანგულ მოდის სახლში აღმოჩენის შემდეგ, რაფმა DIOR-ს სულ სხვაგვარი – მინიმალისტური და სექსუალური ელფერი შესძინა. მისი საფირმო, ფემინური სილუეტების მოტრფიალეებს შორის თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ვარსკვლავები აღმოჩნდნენ, მათ შორის – ჯენიფერ ლოურენსი და ჯენიფერ ლოპესი.**






## DIOR AND HOLA!
**2010-იან წლებში DIOR-ის კოლექციები განსაკუთრებით ეკლექტური და საინტერესო გახდა. ცხადია, რაფის შექმნილი სამოსი HOLA!-ს ყურადღების მიღმა არც ამჯერად დარჩენილა.**





## MARIA GRAZIA CHIURI
2016 onwards

**მარია გრაცია ქიური DIOR-ის ისტორიაში პირველი ქალი გახლავთ კრეატიული ხელმძღვანელის პოსტზე. ბრენდს, რომელმაც მსოფლიოში სახელი ფემინური სილუეტებით გაითქვა, ამჯერადაც ქალი მართავს. იტალიელი დიზაინერი, რომელიც აქამდე VALENTINO-ში საქმიანობდა, საქმეს პირველივე სეზონიდან სერიოზულად მოეკიდა. სწორედ ქიურიმ შექმნა მაისურები საკმაოდ თამამი ფემინისტური სლოგანებით. მანვე მოგვიწოდა შიშველ სხეულზე გამჭვირვალე კაბების ტარებისკენ. ქიურის დამსახურებით, DIOR-ი უფრო თანამედროვე და სექსუალურ ბრენდად იქცა, რომელსაც ყოველ ჯერზე გამოსდის საზოგადოების გაოცება.**



მილანელი მაესტრო DIOR-ში წარმოშობით გიბრალტარელმა დიზაინერმა – ჯონ გალიანომ ჩაანაცვლა. მკაცრად ფრანგული სტილისა და რეპუტაციის მქონე ბრენდის სათავეში, კიდევ ერთი უცხოელის მოსვლას მოდის სახლის ხელმძღვანელობა სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა, სადაც აღნიშნეს, რომ ნიჭსა და კრეატიულობას ეროვნული იდენტობა არ გააჩნია. გალიანოს ჩვენებები ყოველთვის პომპეზური და თეატრალიზებული გახლდათ, განსხვავებით მისი შემდგომი ხელმძღვანელისა – DIOR-ის რიგით მეექვსე კრეატიულმა ხელმძღვანელმა, ბელგიელმა რაფ სიმონსმა ბრენდის ხელწერა უფრო მინიმალისტური გახადა.

დღეს, ლეგენდადქცეულ მოდის სახლს სათავეში პირველად უდგას ქალი. მარია გრაცია ქიური ძლიერი ფემინისტური მესიჯებით გაჯერებულ კოლექციებს ქმნის. მოდის მოყვარულებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ DIOR-ის არსებობის რიგით მერვე ათწლეული წინამორბედებზე არანაკლებ საინტერესო იქნება. H

ტექსტი: MULENGA HORNSBY. ფოტო: GETTY IMAGES.

# Café Museum




Visionary Design with an Exceptional Menu
Extended into the Courtyard Garden

MUSEUM HOTEL

Orbeliani st 10, 0105, Tbilisi,Georgia
0322 244 999
+995 598 810 810


HELLO!
wedding
510
საქორწილო
იდეა
საქორწილო კაბები · აქსესუარები · საქორწილო ლოკაციები · თაფლობისთვე



WEDDING

# Bridal Fall

იმის დასამტკიცებლად, რომ შემოდგომა ქორწილისთვის საუკეთესო სეზონია, უამრავი არგუმენტი არსებობს – ზომიერად თბილი ამინდები, ფოთოლცვენა, ჯერ კიდევ შემორჩენილი ნამზეური და ცხადია – სადედოფლო კაბების საშემოდგომო კოლექცია. მათთვის, ვინც საქორწილო ციებ-ცხელებაშია ჩართული და ამ მნიშვნელოვან დღეს უახლოეს მომავალში გეგმავს, HELLO!-მ ხუთი TOP-დიზაინერის საპატარძლო კოლექციების ნაკრები შეადგინა



## MARCHESA

თუ გსურთ თავი თანამედროვე პრინცესად იგრძნოთ, მაშინ **MARCHESA**-ს საპატარძლო კოლექცია სწორედ თქვენთვისაა შექმნილი. დელიკატურ ფერთა გამისა და ჰაეროვანი, ბოჰემური სტილის მეშვეობით, დიზაინერთა დუეტმა ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი და მოდური BRIDAL კოლექცია წარმოგვიდგინა. ბრენდი, რომელსაც ქორწილის დღეს საკუთარ LOOK-ზე ზრუნვა უამრავმა ვარსკვლავმა მიანდო, იმედს არც ამჯერად გვიცრუებს.





*ზომიერად სექსუალური და თამამი საქორწილო კაბები ვიქტორიანული ეპოქის სტილში, დაამშვენებს როგორც მინიმალისტური, ასევე გლამურული სტილის პატარძალს*



## MIRA ZWILLINGER

ვინტაჟური სილუეტების, ჰაეროვანი ფაქტურებისა და პასტელის ყველაზე ღია და დელიკატური ტონალობების შერწყმით, **MIRA ZWILLINGER** ყველაზე რომანტიკულ, ჰაეროვან და დახვეწილ საქორწილო LOOK-ებს გვთავაზობს. პრინცესას სტილითა და MERMAID-სილუეტებით, კოლექცია ნებისმიერი გემოვნების პატარძლისთვისაა იდეალური. ზომიერად სექსუალური და თამამი საქორწილო კაბები ვიქტორიანული ეპოქის სტილში, დაამშვენებს როგორც მინიმალისტური, ასევე გლამურული სტილის პატარძალს – ცხადია, შესაბამისი სამკაულებისა და აქსესუარების დახმარებით.



*OSCAR DE LA RENTA-ს კოლექცია ყოველ სეზონზე ეკლექტური, საოცრად დახვეწილი და თანაც, თანამედროვეა – ფორმებსა და სილუეტებთან ერთად, ფაქტურებსა და ძვირფას დეტალებზე აქცენტით*





## OSCAR DE LA RENTA

ამერიკული ესთეტიკის კლასიკად მიჩნეული მოდის სახლი მილიონობით ქალბატონისთვის საოცნებო და საკულტო სადედოფლო კაბებს ქმნის. თამამი კორსეტები, ორგანზის დელიკატური დეტალები, მაქმანები და მინიმალისტური დეკონსტრუქცია – **OSCAR DE LA RENTA**-ს კოლექცია ყოველ სეზონზე ეკლექტური, საოცრად დახვეწილი და თანაც, თანამედროვეა – ფორმებსა და სილუეტებთან ერთად, ფაქტურებსა და ძვირფას დეტალებზე აქცენტით.





*თვლებით, მაქმანებითა და კლასიკადქცეული სილუეტებით, ეს კოლექცია ყველაზე პრეტენზიული საპატარძლოს გულსაც მარტივად მოიგებს*



## PRONOVIAS

ვინტაჟური და თანამედროვე სტილის იდეალური შერწყმით, **PRONOVIAS**-მა ჰაეროვანი პატარძლის რომანტიკული და დაუვიწყარი სტილი შექმნა. თვლებით, მაქმანებითა და კლასიკადქცეული სილუეტებით, კოლექცია ყველაზე პრეტენზიული საპატარძლოს გულსაც მარტივად მოიგებს. ზომიერად სექსუალური და ამავდროულად თანამედროვე სტილის კაბების მთავარი ხიბლი დიდი დოზით მაქმანის HANDMADE დეტალები და თამამი კორსეტები გახლავთ.





კოლექციაში უამრავი ვარიაციის საპატარძლო კაბასა და კომბინეზონს შეხვდებით



# NAEEM KHAN

კოლექცია ყველაზე ავანგარდული და მოდური ექსპერიმენტების მოყვარული დედოფლებისთვის. **NAEEM KHAN** მომავალ პატარძლებს მაქსიმალური სითამამისა და ორიგინალურობისკენ მოუწოდებს. ბეწვისა და ბუმბულის დეტალები, ძვირფასი თვლებითა და მოქარგული ორნამენტებით გაწყობილი ფაქტურები და განსხვავებული ათწლეულებისთვის დამახასიათებელი ესთეტიკა თუ ფორმები – კოლექციაში უამრავი ვარიაციის საპატარძლო კაბასა და კომბინეზონს შეხვდებით.





**WOUTERS & HENDRIX**
ცრემლის ფორმის მარგალიტის საყურე
520₾
**farfetch.com**

**BOTTEGA VENETA**
თმის აქსესუარი ხელნაკეთი დეტალებით
2900₾
**net-a-porter.com**

WEDDING

# Get the BRIDAL LOOK

## წლის ყველაზე გახმაურებული ქორწილის მთავარმა გმირმა – პიპა მიდლტონმა, სადედოფლო LOOK-ით კეიტის დაჩრდილვაც კი მოახერხა

კემბრიჯის ჰერცოგინიას უმცროსმა დამ მნიშვნელოვანი დღისთვის არჩევანი GILES DEACON-ის მაქმანებიან კაბაზე შეაჩერა. დახვეწილი სილუეტი, ამოჭრილი „ზურგი“, დახურული „გული“ და დელიკატური დეტალები – პიპას კაბა კლასიკური ბრიტანული სტილისა და თანამედროვე მინიმალისტური აქცენტების იდეალური სინთეზით იყო შექმნილი. ამ ყველაფერთან პატარძალმა შლეიფი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი დიადემა მოირგო. პიპა მიდლტონის სადედოფლო სტილი, 2017 წლის საშემოდგომოდ, იდეალური ინსპირაციაა მათთვის, ვინც საქორწილო კაბას არჩევს.



**JIMMY CHOO**
საპატარძლო ფეხსაცმელი წვრილ ქუსლზე
1280₾
**net-a-porter.com**



**მაქმანებიანი სადედოფლო კაბა უკვე კლასიკადქცეული ტრადიციაა, რომელიც დასაბამს სამეფო ოჯახების ქორწილებიდან იღებს.**

**ROSA CLARÁ**
მაქმანებიანი საქორწილო კაბა
**rosaclara.es**




ახალი სახელი ქართული ღვინის ისტორიაში



ქეით მიდლტონი - კემბრიჯის ჰერცოგინია



**TIFFANY & CO.**
ყვითელი და თეთრი ალმასებით მოჭედილი საქორწინო გვირგვინი
**tiffany.com**



**BENTLEY & SKINNER**
ექსკლუზიური დიზაინის ტიარა 15-კარატიანი ბრილიანტებით
**thejewelleryeditor.com**



**IVORY & CO**
ვინტაჟური სტილის ტიარა მასიური კრისტალებით
**johnlewis.com**



**BENTLEY & SKINNER**
ოქროს გვირგვინი მბზინვარე ალმასებით
**thejewelleryeditor.com**



**SWAROVSKI**
SWAROVSKI-ს კრისტალებით მოჭედილი ტიარა დახვეწილი დიზაინით
**swarovski**

WEDDING

# Crowning GLORY

ქორწილის დღეს, ყველა პატარძალს აქვს უფლება თავი ნამდვილ პრინცესად იგრძნოს და შესაბამისადაც გამოიყურებოდეს. ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამეფო გვირგვინები და ტიარები ROYAL LOOK-ის განუყოფელი და ყველაზე მთავარი კომპონენტია

HELLO! ინსპირაციისთვის სამეფო ქორწილების მთავარ გმირებს – ნამდვილ პრინცესებსა და მათ საქორწინო გვირგვინებს გთავაზობთ.



მონაკოს პრინცესა გრეის კელი



ესპანეთის პრინცესა ლეტიცია



უელსის პრინცესა დაიანა



დანიის პრინცესა მერი



შვედეთის პრინცესა ვიქტორია



საბერძნეთის პრინცესა ტატიანა



NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY
day Spa by
GERMAINE de CAPUCCINI
-40%
ყოველდღე 15:00სთ-მდე
NATALI DAY SPA by GERMAINE de CAPUCCINI
კოსტავას ქ.67,თბილისი 0179
032 2365757; 577 507096
www.natalispa.ge



WEDDING

# Flowers Lovers

**თაიგული პატარძლებისთვის ყველაზე სიმბოლურ და სენტიმენტალურ დატვირთვას ატარებს. თქვენი საყვარელი ყვავილებისგან დაკომპლექტებული აქსესუარის შერჩევის დროს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ფლორისტების რამდენიმე რჩევა**

უარი თქვით ერთსა და იმავე ფერის გამოყენებაზე. მაგალითისთვის, უმჯობესია, თუ ერთმანეთს განსხვავებული ტონის ვარდებს შეურჩევთ.

აუცილებლად შეუხამეთ თაიგული საპატარძლო კაბის სტილსა და სამკაულებს. იფიქრეთ, შერჩეული ყვავილები რამდენად ეფექტური იქნება ფოტოზე.

მკვეთრი ფერის ყვავილებით დაკომპლექტებული თაიგულის შემთხვევაში, უმჯობესია მწვანე მცენარეებისა და პატარა, მინდვრის ყვავილების შერევა.

ზღაპრული საქორწილო ცერემონიალისთვის, სწორად შერჩეული დეკორაცია ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ყვავილებითა და სხვადასხვა ტიპის აქსესუარებით მორთული მაგიდები ძალიან უხდება როგორც პომპეზურ, ასევე მინიმალისტურ ცერემონიალს. **FLOWERS LOVERS**-ის ფლორისტები გვირჩევენ არ ასცდეთ ძირითად თემატიკას და შერჩეულ ფერთა გამას. საქორწილო დეკორაციის შერჩევისას, აუცლებლად დაიხმარეთ პროფესიონალი ფლორისტები, რომლებიც ცერემონიალის ვიზუალურ მხარეზე იზრუნებენ.



***FLOWERS LOVERS***
*თამარ მეფის ქ. 34, ქუთაისი*
***მობ.**: +995 558 422 922*













***FLOWERS LOVERS-ის ფლორისტები გვირჩევენ არ ასცდეთ ძირითად თემატიკას და შერჩეულ ფერთა გამას***

2



**IVORY & CO.**
თმის აქსესუარი კრისტალებით
300₾
**johnlewis.com**

WEDDING

# TOP 10 *Bridal must haves*

მიუხედავად იმისა, რომ ქორწილის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი საპატარძლო კაბაა, დედოფლების უმეტესობა მაინც დიდ დროსა და ყურადღებას უთმობს შესაბამისი ფეხსაცმლის, სამკაულებისა და მოდური აქსესუარების შერჩევას. HELLO!-მ სადედოფლო MUST-HAVE-ების სია ნებისმიერი პატარძლის გემოვნებისა და სტილის გათვალისწინებით შეადგინა.



**MONSOON**
სადღესასწაულო კლატჩი კრისტალებით
290₾
**us.monsoon.co.uk**

1



**SWAROVSKI**
დელიკატური სამაჯური ძვირფასი თვლებით
280₾

3



**LAREIDA**
საპატარძლო სამაჯური შიფონის ვარდით
70₾
**farfetch.com**



**OSCAR DE LA RENTA**
კლასიკური სტილის პიჯაკი ნაქარგებიანი მკლავებით
5700₾
**net-a-porter.com**

4



5

**BLING JEWELRY**
ცრემლის ფორმის საყურე
60₾
**bluefly.com**



**LAFONN JEWELRY**
რკალის ფორმის ბეჭდების DUO
450₾
**nordstrom.com**

6



**ROKSANDA**
კლასიკური სტილის შემოსაცმელი
3370₾
**net-a-porter.com**

7



**AQUAZZURA**
ფეხსაცმელი ნაქარგებიანი ორნამენტებით
560₾
**farfetch.com**

9

8



**NATOLI HEELS**
ქუსლიანი ფეხსაცმელი თვლებით
560₾
**bhldn.com**



WEDDING

# საქორწილო სამზადისი All Inclusive

ქორწილის მნიშვნელოვანი დღისთვის მზადება დათქმულ თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე იწყება. საპატარძლოებს გარეგნობის მოწესრიგება და საკუთარ თავზე ზრუნვა ცერემონიალის ორგანიზების ფონზე, საკმაოდ სტრესულ პირობებში უწევთ

თუმცა სწორად შერჩეული BEAUTY პროცედურების დახმარებით, მოსამზადებელი პერიოდი თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე სახალისო და ბედნიერად მოსაგონებელ ხანად შეგიძლიათ აქციოთ. HELLO!-მ მომავალი პატარძლებისთვის თავის მოვლისა და სხვადასხვა გამაჯანსაღებელი თერაპიების ეფექტური ნაკრები შეადგინა, რომელთა დახმარებით ქორწილის დღეს თავს ნამდვილ დედოფლად იგრძნობთ.

**კლინიკაში „მედი“** საპატარძლოს პირველი გაჩერება სწორედ სტომატოლოგიური განყოფილებაა. აქ ჯადოსნური ღიმილის საიდუმლო იციან. კაშკაშა, თეთრი, თავდაჯერებული ღიმილის გასაღები – ეს გახლავთ მსოფლიო სენსაცია, ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური აპარატი **BEYOND POLUS**, რომელიც კბილებს 4-8 ტონით ათეთრებს.

**BEYOND POLUS** ინოვაციური ტექნოლოგიაა მთელ მსოფლიოში, რომელშიც კომბინირებულია ძლიერი ჰალოგენები და მსუბუქი გამოსხივების დიოდური სხივი. აქვს უმაღლესი ხარისხის ფილტრაციის სისტემა, ფილტრავს ყველა ულტრაიისფერ და სხვა მავნე სხივებს, მაქსიმალურად ამცირებს კბილების მგრძნობელობას. გაიღიმეთ! თქვენ შეუდარებელი ხართ!

დამეთანხმებით, ყველაზე მეტად პატარძალს არ სურს საქორწილო კაბა პრობლემურ ადგილებში (*მუცელი, გვერდები*) ზედმეტი ცხიმების გამო ცუდად ადგეს ტანზე. თან, უმეტეს შემთხვევაში, კაბა, თეთრი თუ არა, საკმაოდ ღია ფერისაა, რომელიც კიდევ უფრო გამოკვეთს სხეულის კონტურებს. არ იდარდოთ! ამ პრობლემასთან საბრძოლველად, **„მედის“ კოსმეტოლოგიურ განყოფილებაში** მსოფლიოში აღიარებულ, ჯადოსნურ ტექნოლოგიას მოკრავთ თვალს. ეს „ზელტიკია“. „ზელტიკი“ გახლავთ



## იდეალურ პატარძალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს

- **მომაჯადოებელი ღიმილი და თეთრი კბილები;**
- **ზედმეტი ცხიმებისგან თავისუფალი პრობლემური ადგილები** (*გვერდები, მუცელი*)**;**
- **დატენიანებული, გლუვი და ჯანსაღი სახის კანი;**
- **არასასურველი თმისგან თავისუფალი სხეული.**

ერთსაათიანი პროცედურა ცხიმის დაშლა-მოყინვის მეთოდით – რეაბილიტაციის გარეშე, უსაფრთხო, უმტკივნეულო. „ზელტიკის“ აპარატი ყინავს და ანადგურებს პრობლემურ ადგილებში ჩალაგებულ ცხიმის უჯრედებს. პროცედურიდან ორი თვის განმავლობაში კრისტალიზებული ცხიმის უჯრედების 40% იშლება და ბუნებრივად გამოდის თქვენი ორგანიზმიდან. თქვენი სხეული უწინდელ ფორმას იბრუნებს!

სანამ საბოლოო შტრიხად მაკიაჟს გაიკეთებდეთ... მოუარეთ სახის კანს. კანის სიგლუვისა და მბზინვარებისთვის **კლინიკა „მედი“** ტექნოლოგიათა სრულ სპექტრს გთავაზობთ.

## წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

**ბიორევიტალიზაცია** ეს პროცედურა ამკვრივებს კანს, ასწორებს წვრილ ნაოჭებს. კანი ხდება ელასტიკური, გლუვი. პროცედურის დროს, კანქვეშ მიკროინიექციის გზით თავსდება ჰიალურონის მჟავა.

**PRP-თერაპია** პლაზმოთერაპია, გაახალგაზრდავების ლაბორატორია (*REGENLAB*). ეს არის სახის კანისთვის ფორმის დაბრუნებისა და გაახალგაზრდავების ინოვაციური მეთოდი ორგანიზმის რესურსების გამოყენებით. ამ პროცედურის შემდეგ, კანი არა მარტო გამოიყურება, არამედ ფუნქციონირებს ახალგაზრდულად.

**თერმაჟი** თუ პატარძალს უკვე 30 წელი შეუსრულდა, რა თქმა უნდა სჯობს ჩაიტაროს უნიკალური პროცედურა აპარატით **THERMAGE**. მხოლოდ ერთი ვიზიტის დახმარებით, ერთ საათში, ყოველგვარი რეაბილიტაციის გარეშე, თერმაჟის პროცედურა მოშვებულ კოლაგენს სიმკვრივეს უბრუნებს! ხდება კანის ლიფტინგი ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე. გამოსცადეთ თქვენს თავზე ნამდვილი რევოლუცია გაახალგაზრდავების მეთოდებს შორის!

**დაბოლოს** არ დაგავიწყდეთ ლაზერული ეპილაცია. ალექსანდრიტის ლაზერი ხომ ოქროს სტანდარტად აღიარებული პროცედურაა არასასურველი თმის მოსაშორებლად. ებრძოლეთ ერთ-ერთ უდიდეს ესთეტიკურ პრობლემას – ჭარბთმიანობას, შედეგიანად! **მიაკითხეთ „მედის“ 20 ფილიალიდან ნებისმიერს საქართველოს მასშტაბით!**

**ფასები?** **კლინიკაში „მედი“** 0%-იანი განვადებით ნებისმიერი სურვილის მარტივად ასრულება შეგიძლიათ. მაგალითად: კბილების გათეთრება თვეში 27, „ზელტიკი“ – თვეში 46, ხოლო ბიორევიტალიზაცია – თვეში 25 ლარი დაგიჯდებათ. არავითარი ხელფასის ცნობა – განვადებას 15 წუთში, კლინიკაშივე დაიმტკიცებთ.

***კლინიკა „მედი“***
*მ. კოსტავას ქ. 52, თბილისი*
*ტელ: (+995) 322 91 00 00*



*კანის სიგლუვისა და მბზინვარებისთვის კლინიკა „მედი“ ტექნოლოგიათა სრულ სპექტრს გთავაზობთ*



WEDDING

# ოთხი ნაბიჯი სახის იდეალური კანისთვის

## რჩევები პატარძლებს

ქორწილის დღისთვის მზადება დათქმულ თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე იწყება. კაბის, აქსესუარებისა და ცერემონიალის ადგილის შერჩევასთან ერთად, პატარძლები საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვასაც საკმაოდ დიდ დროს უთმობენ

თუ გსურთ თქვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან დღეს თავი იდეალური სახის კანით მოიწონოთ, მზადება მინიმუმ 2 თვით ადრე უნდა დაიწყოთ. საპატარძლოებო, მიანდეთ საკუთარი გარეგნობა **ესთეტიკის ცენტრ CONTOUR**-ის კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც სახის კანის გამაჯანსაღებელ, საოცრად ეფექტურ, ინდივიდუალურად შერჩეულ კურსს შემოგთავაზებენ. HELLO!-ს მკითხველს რჩევებს გვაძლევს ცენტრის **დერმატო-კოსმეტოლოგი თამარ ციციშვილი-ქაუგილი**.



## თამარ ციციშვილი-ჟაუგილი

დერმატო-კოსმეტოლოგი

1

**ესთეტიკურ დერმატოლოგიაში,** სახის კანზე ნებისმიერი ტიპის პროცედურის საბაზისო ეტაპი, სიღრმისეული დიაგნოსტიკაა. მხოლოდ კანის ტიპის, ასაკისა და პრობლემის დეტალურად განსაზღვრის შემდეგ შეგვიძლია გამოსავალზე ვიფიქროთ და პირადად თვენზე მორგებული, პროცედურების უნიკალური კურსი შემოგთავაზოთ. სახის იდეალური კანისთვის მზა რეცეპტი არ არსებობს. სწორედ ამიტომ, დიაგნოსტიკა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

2

**შემდეგი ეტაპი** კანის სიღრმისეული წმენდა, იგივე ფილინგია. ადამიანის სხეულსა და სახეზე, უწყვეტი ციკლის სახით მიმდინარეობს კანის განახლება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მკვდარი უჯრედები დროულად მოვიშოროთ. ერთჯერადი პროცედურა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ თქვენი კანი მომენტალურად გამოცოცხლდეს და შემდეგი ეტაპისთვის მოემზადოს, რის შემდეგაც უკვე ფიზიოთერაპიის 2-კვირიანი ინტენსიური კურსის ჩატარებაა რეკომენდებული.

3

**ესთეტიკის ცენტრ CONTOUR**-ში ფიზიოთერაპიული პროცედურები LUX კლასის ფრანგული ბრენდის – **GUINOT**-ის აპარატით ხორციელდება.




**ფიზიოთერაპიის დახმარებით,** თქვენი სახის კანი ბუნებრივ და ჯანსაღ იერს საკმაოდ მარტივად შეიძენს, ამ ყველაფრის საიდუმლო კი განსხვავებული დანიშნულებისა და ეფექტის მქონე პროცედურების კომბინაცია გახლავთ, რომელიც ქსოვილების დრენაჟს, მიკროდენებით თერაპიას, იონოფორეზ-ორმაგ იონიზაციას, ოქსიგენაციასა და მამოდელირებელ მასაჟს აერთიანებს.

მომავალი პატარძლებისთვის, ამ უნიკალური თერაპიის საკუთარ თავზე გამოცდა ჯამში 4-ჯერ, 2-კვირიანი ინტენსიური კურსის ფარგლებშია რეკომენდებული.

4

**ქორწილამდე** ორი კვირით ადრე, ფიზიოთერაპიის საოცრად ეფექტური კურსის შემდეგ, საპატარძლომ სახის კანის გამაჯანსაღებელი კურსი სასურველია მიკროინიექციების პროცედურით  დაასრულოს. მეზოთერაპია და ბიორევიტალიზაცია თქვენი კანის ღრმა დატენიანებას უზრუნველყოფს, ამდიდრებს კანს მკვებავი ნივთიერებებით და გძენთ გლუვ, ხავერდოვან იერს.

ეწვიეთ **ესთეტიკის ცენტრ CONTOUR-**ს და მიანდეთ პროფესიონალებს საკუთარ თავზე ზრუნვა.



## სოფო პეტრიაშვილი

ესთეტიკის ცენტრ CONTOUR-ის დამფუძნებელი

**„მათ, ვინც ქორწილისთვის ემზადება, ვურჩევ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა რამდენიმე თვით ადრე დაიწყოს. ჩვენ მიერ შედგენილი ინდივიდუალური კურსის მეშვეობით, ნებისმიერი საპატარძლო იგრძნობს თავს იდეალურ დედოფლად. საოცრად ეფექტური პროცედურების კომბინაციით, თქვენი კანი ქორწილის შემდეგაც დიდხანს შეინარჩუნებს საოცრად ბუნებრივ და ჯანსაღ იერს“.**

*ესთეტიკის ცენტრ* ***CONTOUR-ში*** *სახის კანის გამაჯანსაღებელ პროცედურებთან ერთად,* ***LUMENIS****-ის უახლესი თაობის დიოდური ეპილაციის პროცედურასაც გვთავაზობენ, რომელიც მოყინვისა და ვაკუუმის უნიკალური ტექნოლოგიით ხორციელდება. ესთეტიკის ცენტრში ასევე დაგხვდებათ გერმანული წარმოების* ***ULTRA SUN****-ის ვერტიკალური სოლარიუმი, გაგრილებისა და დატენიანების უახლესი სისტემებით.*

*ესთეტიკის ცენტრი* ***CONTOUR***
*დ. გამრეკელის ქ. 10, თბილისი*
*ტელ: (+995) 322 727 000*



WEDDING

# ბუნებრივი იერის საიდუმლო

სანამ თეთრ კაბას მოირგებთ, **HELLO!** გირჩევთ OPERATION WEDDING კანზე ზრუნვით დაიწყოთ

**გ**აანებივრეთ თქვენი სახის კანი გამაჯანსაღებელი პროცედურებით, გლუვი და ჯანსაღი კანის გარეშე ხომ BRIDAL BEAUTY ROUTINE ვერასოდეს იქნება სრულყოფილი.

თუ ზედაპირული და მიმიკური ნაოჭები მილიონობით ქალბატონთან ერთად თქვენთვისაც პრობლემას წარმოადგენს, მაშინ HELLO! თანამედროვე ესთეტიკურ მედიცინაში ერთ-ერთ წამყვან მეთოდს, **XEOMIN**-ის ინიექციას გაგაცნობთ.

ნაოჭების კორექციისთვის კომპანია **Merz Aesthetics**, სხვა უამრავ ინოვაციურ პროდუქტთან ერთად, **XEOMIN**-საც გვთავაზობს – მსოფლიოში აპრობირებულ ერთადერთ ბოტულოტოქსინს თავისი ხარისხითა და შედეგით. პროცედურა მარტივად ექვემდებარება შემდგომ კორექციას, არ იწვევს შეჩვევას და რაც ყველაზე მთავარია – მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კანის სტრუქტურას.

**XEOMIN** ტექნოლოგიურად მაქსიმალურადაა გასუფთავებული კომპლექსური ცილებისგან, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრადობას განმეორებითი გამოყენებისას. მისი შენახვის პირობები არ საჭიროებს მკაცრ ტემპერატურულ რეჟიმს, რადგან ინახება ოთახის ტემპერატურაზე წლის ნებისმიერ სეზონზე. სწორედ ამ მიზეზის გამო, პროდუქტი აბსოლუტურად უსაფრთხო და საოცრად ეფექტურია. H

*აფთიაქი **ჯპს**, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: +995 0322 145 000; მობ.: +995 577 477 903*




ბოტულინო ტოქსინი
**XEOMIN,**
**MERZ AESTHETICS**

HELLO! GEORGIA

შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია




იკითხეთ
HELLO!
მთელ მსოფლიოში
სმარტფონებზე, პლანშეტებზე
და პერსონალურ
კომპიუტერებზე




ჩამოტვირთეთ
ქართული HELLO!
მსოფლიოს უმსხვილესი
დახლებიდან
ZINIO და
MAGZTER

Google play
App Store

დამატებითი
ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge



WEDDING

# TOP 4 Bridal Hair Colors

საპატარძლო ვარცხნილობებში, ტენდენციები სეზონიდან სეზონამდე იცვლება, 2017 წლის შემოდგომისთვის, WELLA PROFESSIONALS-ის გლობალური შემოქმედებითი არტისტი დარენ ამბროუზი და კოლორისტიკის ხელმძღვანელი კლეიდ ბაუმანი თმის 4 ყველაზე მოდურ მკვეთრ ტონალობას გვთავაზობენ, **HELLO!** კი გაგაცნობთ როგორ მიიღოთ ამ ფერის თმა შესაბამისი პროდუქციის გამოყენებით




WELLA PROFESSIONALS ILLUMINA Color 7/43

WELLA PROFESSIONALS Blondor Freelights

WELLA PROFESSIONALS ILLUMINA Color 7/8

## სპილენძისფერი ნათება

წითური თმის ყველაზე მკვეთრი და ცეცხლოვანი გრადაცია ამ სეზონზე მეწამულისა და თიხისფრის თვალისმომჭრელი კომბინაციით მიიღება. საოცრად ნათელი სპილენძისფერი ძალიან უხდება გაშლილ გრძელ თმასა და ბუნებრივ, ტალღოვან ეფექტს.

### ვარცხნილობის შექმნის საშუალებები

**WELLA PROFESSIONALS FUSION**
**სიახლე თმის მოვლის სერიაში**

ზაფხულის მზის მცხუნვარებისა და ზღვის მარილიანი წყლის ზემოქმედება, რა თქმა უნდა ასუსტებს თმას. შემოდგომაზე თმას მეტი მზრუნველობა სჭირდება. სწორედ ამას გვთავაზობს **WELLA PROFESSIONALS**-ი. ეს გახლავთ თმის მოვლის ახალი ხაზი – **FUSION**, რომელიც შამპუნის, კონდიციონერისა და ნიღბისგან შედგება. ახალ პროდუქციას აქვს ექსპრეს-აღდგენის უნარი. უბრუნებს თმას პირვანდელ სიჯანსაღეს და ბრწყინვალებას. შემადგენლობაში შემავალი ამინომჟავები მთელ სიგრძეზე აღადგენს და აჯანსაღებს თმას.





## მკვეთრი წაბლისფერი

ტონალობა, რომელიც განსაკუთრებულად მდიდარი ტექსტურითა და ბრწყინვალებით გამოირჩევა, ნებისმიერი სტილის საპატარძლო ვარცხნილობას დაამშვენებს. მომაჯადოებელი წაბლისფერი მთელ სიგრძეზე ქმნის დრამატული ელვარების ეფექტს და განსაკუთრებით უხდება შემოდგომას.

### ვარცხნილობის შექმნის საშუალებები



WELLA PROFESSIONALS
Blondor Freelights



WELLA PROFESSIONALS
Eimi Glam Mist

WELLA PROFESSIONALS
Eimi Perfect Setting

WELLA PROFESSIONALS
Eimi Shape Me



WELLA PROFESSIONALS
ILLUMINA Color 10/36
+Welloxon Perfect
1,9%(1:2)

WELLA PROFESSIONALS
Blondor
Freelights

WELLA PROFESSIONALS
Koleston
Perfect 12/0

WELLA PROFESSIONALS
ILLUMINA Color 7/31
+Welloxon PerfectPaste
1,9%(1;2)

## სტრუქტურული სხივი

ამ სეზონზე ყველაზე მოდური ტონალობის ქერა თმა, ცივი და თბილი ტონების შერწყმას გულისხმობს. ცენტრიდან პერიფერიებისკენ მიმართული მოკლე ხაზები გადატეხილი სხივების საოცრად მბზინვარე ეფექტს მიანიჭებს თმას. ეს ვარცხნილობა უზომოდ უხდება შემოდგომის ფერებსა და განწყობას.







WELLA PROFESSIONALS
Koleston
Perfect 5/77

WELLA PROFESSIONALS
Color.id

## რადიკალური შავგვრემანი

გრძელი შავი თმა და თეთრი კაბა საპატარძლო LOOK-ებს შორის ყველაზე კლასიკური კომბინაციაა. მუქი ტონი უხდება როგორც აწეულ, ასევე ბუნებრივად გაშლილ, გრძელ ტალღოვან თმას. წარმოუდგენლად მბზინვარე შავი თმის მიღება სწორად შერჩეული საღებავის დახმარებით საკმაოდ მარტივად შეგიძლიათ.






**DELFY**
სახის შიმერი, რომელიც მაკიაჟის დამასრულებელ ჰაილაითერად შეგიძლიათ გამოიყენოთ

**FABERLIC**
ტუში წამწამების ბუნებრივი მოცულობისთვის




**MAC**
თვალის ლაინერი

ტონალური კრემი ერთგვაროვანი ეფექტისთვის




**CHRISTIAN BRETON**
წითელი ტუჩსაცხი მატის ეფექტით



**MAC**
ნაზი საშემოდგომო ტონალობების რუჟი

WEDDING

# Fall Beauty QUEEN

საშემოდგომოდ, იდეალური საქორწილო LOOK-ი უპირველესად უნაკლო ვიზაჟს გულისხმობს. მსუბუქად და ბუნებრივად გარუჯული სახის კანი, სადა და ნაზი ფერები, მინიმალისტური აქცენტები და არანაირი მკვეთრი ტონები – საპატარძლოები ამ დღისთვის, როგორც წესი, კლასიკურ სტილს ირჩევენ

პირველი და ყველაზე მთავარი, თქვენი სახის კანის შესაბამისი ტონის ბაზის შერჩევაა. ეცადეთ ტონალური კრემი მაქსიმალურად მდგრადი და თქვენს ბუნებრივ კანის ფერთან მიახლოებული იყოს. უარი თქვით თვალის მკვეთრ „ჩრდილებსა“ და ტუჩსაცხზე, აქცენტი მქრქალის ეფექტის პასტელურ ფერებსა და სადა ტონალობებზე გაამახვილეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ქორწილის დღეს, უამრავი ფოტოობიექტივი და თვალი ზუსტად თქვენკენ იქნება მომართული და ეცადეთ თავიდან აიცილოთ კანის აჭრელება. ამ ყველაფერში კი, HELLO!-ს მიერ შერჩეული საუკეთესო BRIDAL კოსმეტიკა დაგეხმარებათ.




**DELFY**
წითელი ტუჩსაცხი ტუჩების ფორმის გამოსაკვეთად




**FABERLIC**
ფანქარი წარბის მოცულობისთვის

# CONTOUR

AESTHETIC CENTER



- სახის ოვალის ინექციური დიზაინი-
  ინექციური დერმატოლოგია
- THREADLIFTING – APTOS ძაფები
- ინტიმური კონტურული პლასტიკა
- აპარატული კოსმეტოლოგია-
  ფიზიოთერაპია
- სახისა და ტანის მოვლა – LUX ბრენდი,
  ფრანგული კოსმეტიკა GUINOT
- დიოდური ეპილაცია
- ტერფის მოვლა – პოდოლოგია
- სოლარიუმი

დ. გამრეკელის ქ. 10, თბილისი

+995 322 727 000

AESTHETICCENTERGEO



ULTRASUN
RECHARGE YOURSELF




GUINOT
INSTITUT • PARIS



Lumenis®
Energy to Healthcare






**REVLON**
ფრჩხილის ლაქი მქრქალის ეფექტით




**MAC**
ღია ვარდისფერი ფრჩხილის ლაქი

WEDDING

# Bridal MANICURE

ზღაპრული კაბა, იდეალური მაკიაჟი, თაიგული თქვენი საყვარელი ყვავილებით – მნიშვნელოვან დეტალებზე ზრუნვით, თქვენი ქორწილის დღე თავადვე უნდა გახადოთ დაუვიწყარი, თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ „ეშმაკი" ზუსტად ერთი შეხედვით ყველაზე მარტივ და უმნიშვნელო ნიუანსებში იმალება




**DELFY**
მკვეთრი ვარდისფერი ფრჩხილის ლაქი

სწორად შერჩეული მანიკიური და პედიკიური ზუსტად ასეთი „უწყინარი დეტალია", რომლის არასწორად შერჩევას მთელი სამზადისის წყალში ჩაყრა შეუძლია. უარი თქვით გადატვირთულ ორნამენტებსა და დიდი დოზით კრისტალებზე, ნუ გამოიყენებთ ჭრელ ან მკვეთრი ფერის ლაქს. აქცენტი გაამახვილეთ სადა ტონალობებზე – კრემისფერი, მკრთალი თეთრი, ღია ვარდისფერი. საშემოდგომო ქორწილისთვის პატარძლების უმეტესობა ღია სანდლების ტარებას არჩევს, ამიტომ პედიკიურის შერჩევისასაც იგივე პრინციპით იხელმძღვანელეთ – შეარჩიეთ ყველაზე სადა, დელიკატური და დახვეწილი ტონი.




**DIOR**
ნაზი ტონალობის მანიკიური




**OPI**
ფრჩხილის ლაქი მქრქალის ეფექტით


BOSCH-ის
Active Oxygen
სერიის სარეცხი მანქანები ანადგურებს ბაქტერიების და მიკრობების 99.99%-ს ყოველგვარი ქიმიკატების გამოყენების გარეშე დაბალ ტემპერატურაზე და უზრუნველყოფს უსიამოვნო სუნის მოშორებას ტანსაცმლისგან
ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS
ბოში
BOSCH
შექმნილია ცხოვრებისთვის



WEDDING

# რომანტიკული ლოკაციები

**HELLO!**-მ თქვენი განსაკუთრებული დღისთვის საუკეთესო ლოკაციები მოიძია. ბათუმის სანაპიროებიდან თბილისის საუკეთესო სასტუმროებამდე – რედაქცია ყველაზე ლამაზ და რომანტიკულ ადგილებს წარმოგიდგენთ

## CASTELLO MARE Hotel & WELLNESS Resort

ქორწილი ყველაზე მნიშვნელოვანი და ლამაზი დღეა ადამიანთა ცხოვრებაში. ისინი ცდილობენ, ეს დღე მაქსიმალურად საინტერესოდ და ლამაზად იყოს ორგანიზებული. სასტუმრო-კოშკი „**კასტელო მარე**“ იდეალური ადგილია ორიგინალური და რომანტიკული ქორწილის აღსანიშნად. ზღაპრებისა და თავგადასავლების მოყვარულ პატარძლებს HELLO!-ს რედაქცია სწორედ რომ ამ ადგილს ვურჩევთ – ზღაპრული ქორწილი თანამედროვე „კოშკში”, რომელსაც შავ ზღვაზე გადაკიდული აუზი ამშვენებს და ჰორიზონტზე უსასრულობის ილუზიას ქმნის. მომავალ პატარძლებს აქ არა მხოლოდ ოცნების ქორწილის დაგეგმვა, არამედ დაუვიწყარი თაფლობისთვის გატარება შეუძლიათ. ამისთვის სასტუმრო ახლადდაქორწინებულებს სპეციალურად შექმნილ „თაფლობისთვის ლუქსსაც“ სთავაზობს. „**კასტელო მარე**“ იდეალური ადგილია შემდეგი სიტყვების გასაჟღერებლად: „**...და ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად**“.

ციხისძირი, 6100 ქობულეთი
***ტელ.:*** *(+995) 422 21 28 28*
*sales@castellomare.com*
***www.castellomare.com***





ფოტო: CASTELLO MARE HOTEL & WELLNESS RESORT









*ზღაპრული სასახლე, ჯადოსნური ინტერიერი, მეფური ატმოსფერო, პრემიალური ღვინო და მრავალფეროვანი მენიუ – აქ ყველაფერი დაგხვდებათ იმისათვის, რომ ბედნიერი საღამო თქვენი ცხოვრების საუკეთესო მოგონებად აქციოთ*





# Chateau MUKHRANI

ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ საქორწილო წვეულებისთვის მდიდრულ მასპინძელს ეძებთ, „**შატო მუხრანის**“ რესტორანი „**სამეფო მარანი 1878**“ საუკეთესო არჩევანი იქნება. ზღაპრული სასახლე, ჯადოსნური ინტერიერი, მეფური ატმოსფერო, პრემიალური ღვინო და მრავალფეროვანი მენიუ – აქ ყველაფერი დაგხვდებათ იმისათვის, რომ ბედნიერი საღამო თქვენი ცხოვრების საუკეთესო მოგონებად აქციოთ. მნიშვნელობა არ აქვს, ოჯახის შექმნას ბევრ სტუმართან ერთად აღნიშნავთ თუ მცირერიცხოვანი გარემოცვით დაკმაყოფილდებით – ბაგრატიონთა მამულში თქვენი სიყვარულის ისტორია აუცილებლად მხიარულად, ემოციურად და ძალიან, ძალიან ბედნიერად დაგვირგვინდება! მოკლედ რომ გითხრათ, „**შატო მუხრანში**“ დედოფლის გვირგვინს ყველაზე მოხდენილად მოირგებთ. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა...

მუხრანი, მცხეთა
***ტელ.***: *+995 595 99 13 15/16*
1878@mukhrani.com

**ფოტო**: CHATEAU MUKHRANI



# RADISSON Blu Iveria Hotel Tbilisi



საერთაშორისო ბრენდის თბილისის ფილიალი საქორწილო წვეულებისთვის განსხვავებული ლოკაციების გამოყენებას გვთავაზობს – 300-კაციან საბანკეტო დარბაზთან ერთად, სტუმრებს ღია ტერასისა და აუზის მიმდებარე ტერიტორიის ათვისებაც შეუძლიათ, სადაც ხელის მოწერის ცერემონიალის დაგეგმვაც შეიძლება. ამასთან ერთად, **RADISSON BLU** ახალდაქორწინებულებს სასტუმროს ნომრითა და სპაში ვიზიტითაც ასაჩუქრებს. ლოკაცია იდეალურია ხალხმრავალი წვეულებისთვის, პროფესიონალი შეფმზარეულები კი მზად არიან, თქვენს გემოვნებასა და ბიუჯეტს ნებისმიერი სახის მენიუ მოარგონ.

ვარდების რევოლუციის მოედანი 1, თბილისი
***ტელ.:*** *(+995) 322 40 22 00*











# ტფილისი მეიდანი

საოცნებო ქორწილი თითოეული ადამიანის ფანტაზიაში განსხვავებულია, თუმცა ყველას ერთნაირად სურს, ბედნიერი წვეულება იმ ზღაპარს დაემსგავსოს, რომელსაც შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებს ღიმილით მოუყვებიან.

ჭეშმარიტი გასტრონომიული თავგადასავლებითა და ქართული ჰანგების ცოცხალი შესრულებით, „**ტფილისი მეიდანი**" ნებისმიერი ტიპის ღონისძიებისთვის იდეალური ადგილია.

თბილისის შუაგულში, ერთ-ერთ ყველაზე ისტორიულ ადგილას განლაგებული „**ტფილისი მეიდანის**" წითელი აგურის თაღებიანი სადარბაზო ნამდვილი ქართული ლხინისთვისაა შექმნილი. ქართული ტრადიციული ცეკვების პროგრამა, ძველი ქართული კერძების ახლებურად ინტერპრირებული გემოები და განახლებული ვიზუალი უკლებლივ ყველა სტუმარს მოგვრის აღტაცებას. რესტორნის შესასვლელი გვირაბი კი, რომელიც წარსულში პირდაპირ მტკვარზე გადიოდა, მე-19 საუკუნის ტფილისში გვამოგზაურებს. ასე რომ, თუ გსურთ თქვენი ქორწილი ჭეშმარიტ ქართულ ტრადიციულ სტილში ჩატარდეს, აუცილებლად მიმართეთ „**ტფილისი მეიდანის**" პროფესიონალთა გუნდს.

რკინის რიგი #6, თბილისი
***ტელ.:*** *(+995) 599 25 06 25 / 322 75 10 38*

**ფოტო**: ტფილისი მეიდანი.



# FUNICULAR Complex

ქორწილი ფუნიკულიორის კომპლექსში – ეს სწორედ ისეთი სრულყოფილი და ბრწყინვალე დღესასწაულია, რომელზეც ყველა პატარძალი ოცნებობს. ამიტომ, თუ გსურთ თქვენი ქორწილი ზღაპრულ დღესასწაულს დაამსგავსოთ, არჩევანი ფუნიკულიორის წვეულებათა დარბაზზე შეაჩერეთ. ჯადოსნური გარემო, რომელიც თქვენი სტუმრებისთვისაც დაუვიწყარ ატმოსფეროს შექმნის, ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც 3 წუთის სავალზეა. შენობა თბილისის ისტორიულ და არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობადაა ქცეული.

უგემრიელესი კერძები და მომსახურების უმაღლესი ხარისხი – ყველაფერი ეს ამ განსაკუთრებულ დღეს დაუვიწყარ დღესასწაულად აქცევს. აღარაფერს ვამბობთ იმ საოცარ ხედებზე, რომლებიც მთაწმინდიდან იშლება. ქორწილის ჯადოსნურობა ყველა დეტალში ჩანს და ამას თითოეული სტუმარი გრძნობს.

ფუნიკულიორის კომპლექსი ღონისძიებების ორგანიზატორთა ძლიერი გუნდით გამოირჩევა, რომელიც თავისი პროფესიონალური მიდგომით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თქვენი ქორწილის დიდებულებაზე დიდხანს, ძალიან დიდხანს ისაუბრონ. მოკლედ, თუ ქორწილის გადახდას თბილისში გადაწყვეტთ, ჩვენი რჩევა იქნება ღონისძიების ორგანიზება ფუნიკულიორის კომპლექსის გამოცდილ გუნდს მიანდოთ. რაც მთავარია, ეს ყველაფერი საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასადაა შესაძლებელი.

მთაწმინდის პლატო, თბილისი
***ტელ.:*** *(+995) 322 98 00 00*
*(+995) 577 74 44 00*
*info@funicular.ge*
***www.funicular.ge***



ფოტო: FUNICULAR RESTAURANT COMPLEX



HONEYMOON

# თაფლობისთვის საუკეთესო მიმართულებები

თაფლობისთვე თქვენი ოჯახური ისტორიის პირველ, ყველაზე მნიშვნელოვან „ფურცელზე იწერება“. სწორედ ამიტომ, HELLO! საუკეთესო სამოგზაურო მიმართულებებს გაგაცნობთ...





## ტაილანდი
## სამხრეთ აზია

### რომანტიკა, სიწყნარე და განმარტოება

ქოქოსის პალმების ხეივნები, საოცარი ბუნება, სიმწვანე და ეგზოტიკა დაგეხმარებათ მოიწყოთ დაუვიწყარი თაფლობისთვე ტაილანდში. აქ შეხვდებით ისეთ სილამაზეს, როგორებიცაა ბრინჯის მინდვრები და ბამბუკის ტყეები. ტაილანდის მთავარი ღირსშესანიშნაობა კი პლაჟები გახლავთ, რომლის გასწვრივ ჩამწკრივებულია კაფე-ბარები, რესტორნები და მაღაზიები. აქ გართობისა და დასვენების უდიდესი არჩევანია: წყლის თხილამურები, აკვალანგები, ვიდსერფინგი, დაივინგი, და ა.შ. შეგიძლიათ ითამაშოთ ჩოგბურთი, ბოულინგი, ბილიარდი, გოლფი, ისეირნოთ ცხენით და სხვ. მხოლოდ ტაილანდში შეგიძლიათ ნახოთ მსოფლიოში უდიდესი ნიანგების ფერმა, გაწვრთნილი სპილოების შოუ, დატკბეთ ნაციონალური ცეკვებით, გაერთოთ აკვაპარკის ატრაქციონებით. ტაილანდი ასევე გამორჩეულია თავისი სამზარეულოთი, რომლის მთავარი ატრიბუტი ცხარე სანელებლები და ბრინჯია. ტაილანდში თქვენი თაფლობისთვე უფრო ფერადი და დაუვიწყარი გახდება!

**ვარსკვლავები** თაფლობისთვე ტაილანდში GOOD WIFE-ის მსახიობმა – **ჯოშ ჩარლზმა** გაატარა. წვილი ტელესერიალის გადაღების გამო, მოგზაურობაში ქორწილიდან 4 თვის შემდეგ გაემგზავრა.

**ტექსტი**: სალომე მალიკაშვილი. **ფოტო**: ISTOCK.

# ბალი, ინდონეზია

## თაფლობისთვე ინდოეთის ოკეანესთან

თუ თქვენ და თქვენი მეორე ნახევარი ეგზოტიკურ და ჯადოსნურ თაფლობისთვეზე ოცნებობთ, რედაქცია გირჩევთ უპირატესობა კუნძულ ბალის მიანიჭოთ, რომელიც ნამდვილი სამოთხეა ახალდაქორწინებულთათვის – თავისი ოქროსფერი სანაპიროებით, ულამაზესი პეიზაჟებითა და გაუვალი ჯუნგლებით. პირველი ადგილი, რომელსაც ჩასვლისთანავე უნდა მიაშუროთ, ნუსა-დუას სანაპიროა, რომელიც სილამაზით ნებისმიერ ადამიანს აჯადოებს. ღვთაებრივ ბუნებასთან ერთად, ბალი გვთავაზობს მის მდიდარ კულტურას, მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და რელიგიურ რიტუალებს ვეზიაროთ, რომელთაც ფეხის ყოველ ნაბიჯზე გადაეყრებით. ეს მისტიკური მიწა მთლიანად დაგიპყრობთ უნიკალური ტრადიციებით, კულტურით, სამზარეულოთი, ბუნებითა და არქიტექტურით. ბალი ნამდვილი სამოთხეა შეყვარებული ადამიანებისთვის...

**ვარსკვლავები ეშლი სიმპსონმა** და **ევან როსმა** 2014 წელს თაფლობისთვე სწორედ ბალიზე, ნუსა-დუას სანაპიროზე გაატარეს.

H







****საუკეთესო პირობებისა და მეტი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით **„კაპიტან პლუსს“**, ტელ.: +995 032 242 40 40 ელექტრონული ფოსტა: captain@captain.ge, ოფიციალური გვერდი Facebook-ზე: **Captain Plus**.*

captain plus





HONEYMOON

# Romantic Getaways

ვისაც თაფლობისთვის საქართველოს კურორტებზე გატარება გსურთ, HELLO! რჩეულ სამოგზაურო მიმართულებებს შემოგთავაზებთ





## RADISSON BLU IVERIA HOTEL, BATUMI

### რომანტიკული ვახშამი საყვარელ ადამიანთან

ვერასოდეს მიხვდებით, რა ლამაზია ღამის ბათუმი, სანამ მას **„რადისონ ბლუ ბათუმის“** მე-18 სართულიდან არ გადმოხედავთ. დაისი შავი ზღვის სანაპიროზე და რომანტიკული ვახშამი საყვარელ ადამიანთან – ეს არაჩვეულებრივი ადგილია იმისათვის, რომ თქვენი თაფლობისთვის ტკბილი ღამეები საყვარელ ადამიანთან ერთად სასიამოვნოდ გაატაროთ.

**Radisson Blu Iveria Hotel**-ის თანამედროვე დიზაინი, კომფორტული ოთახები ზღვისა და ქალაქის ხედებით, ღია და დახურული აუზი, რესტორნები და ბარები – საერთაშორისო ბრენდის ბათუმის ფილიალი იდეალური ადგილია თქვენი ყველაზე რომანტიკული დღეების გასატარებლად.

ეგნატე ნინოშვილის ქ.1, ბათუმი
***ტელ:*** *+995 0422 25 55 55*

**ფოტო**: REDISSON BLU IVEIA HOTEL.

# NEW GUDAURI

## ულამაზესი ხედები მყინვარწვერზე



გუდაურის ულამაზესი ბუნების გარემოცვაში შეგიძლიათ განსაკუთრებული თაფლობისთვე გაატაროთ. სექტემბერში აქ სრული სიმშვიდე სუფევს, რაც შესაძლებლობას მოგცემთ, უფრო მეტი დრო დაუთმოთ ერთმანეთს. აქტიური დასვენების მოყვარულთათვის კი შესაძლებელია საფეხმავლო ტურების მოწყობა თრუსოსა და ხადას ხეობებში, ჯომარდობა მდინარე არაგვზე და უახლოესი მწვერვალებიდან პარაშუტით დაშვება. მთა საძელედან ულამაზესი ხედები იშლება მყინვარწვერზე და ხევსურეთის ჭაუხებზე. რომანტიკული ვახშამი ალპური ზონის წარმოუდგენელი პეიზაჟების გარემოცვაში, სასიამოვნო საღამოები ბუხართან და კომფორტული დასვენება – ეს ისაა, რაც „ახალი გუდაურის“ სასტუმრო-დასასვენებელი კომპლექსის ექსკლუზიურ აპარტამენტებში დაგხვდებათ.



***ტელ:*** *+995 577 24 52 45; +995 577 24 20 12*
booking@newgudauri.ge



**ფოტო**: NEW GUDAURI, KAKHA MCHEDLIDZE.





ნია და ნიკა „ოქროს ტალღის“ დაჯილდოებაზე

*60 SOUND BITS WITH...*

# ნია მოძმანაშვილი და ნიკა პაცია

ყველაფერი ერთი სიხშირით იწყება და მთავრდება. რადიო მათი ცხოვრების პულსია და ეს მათ ხმაში ყოველდღიურად იგრძნობა. ნია და ნიკა რადიო „ფორტუნას“ მუსიკალური წამყვანები არიან, თუმცა მათი პირველი ტანდემი გასულ წელს, ჰოლდინგის ყოველწლიური მუსიკალური დაჯილდოების – „ოქროს ტალღის“ სცენაზე შედგა

**როგორ გრძელდება „ოქროს ტალღაზე“ დაწყებული პროფესიული ურთიერთობა?**

**ნია** უპირველესად, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც ამხელა ჰოლდინგის წევრი ხარ. ამას ისიც დაემატა, რომ ერთადერთი მუსიკალური დაჯილდოების წამყვანებად აგვარჩიეს და პასუხისმგებლობაც გაორმაგდა. მე და ნიკა მალევე შევხმატკბილდით. ერთია, როდესაც რადიოს წამყვანი ხარ, ხოლო სულ სხვა გამოცდილებაა ადამიანთან ერთად სცენაზე დგომა და მაყურებელთან კონტაქტი. ჩვენ ეს ეტაპი წარმატებით გადავლახეთ.

**ნიკა** განსაკუთრებული პატივია, როდესაც იმ ღონისძიების ნაწილი ხდები, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ავლენს. ჰოლდინგში 2000-იანი წლების დასაწყისიდან ვმუშაობ, ასე რომ, ეს კომპანია ჩემი ოჯახია. ამას ისიც დაემატა, რომ „ოქროს ტალღის“ ნაწილი გავხდი და ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ნიასთან ტანდემის არ შემშინებია. მიუხედავად იმისა, რომ ერთად მანამდეც გვიმუშავია, ასეთი ტიპის თანამშრომლობა პირველად გვქონდა, თუმცა ექსპერიმენტმა გაამართლა.

**რა მიმართულებით წაგიყვანათ რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“?**

**ნია** მე ვარ რადიოზე შეყვარებული ადამიანი. თუ რადიოში არ ვარ, ჩემი პულსიც ჩერდება. „ფორტუნა“ ჩემი ცხოვრების სტიმული გახდა და განვითარების საშუალება მომცა. აქ ყოველთვის ემხრობიან სიახლეებს და გეხმარებიან ახალი იდეების განხორციელებაში. წელს ახალი სეზონი 15 სექტემბრიდან იგეგმება. მიმდინარეობს მუშაობა ახალ შეფუთვაზე, ტიხრებზე და ა.შ. ამ ყველაფერში მონაწილეობას უკლებლივ ყველა წამყვანი იღებს.

**ნიკა** ჩემს რადიოკარიერაში რამდენიმე ეტაპი იყო. დღეს სპეციფიკაც შეიცვალა და კომუნიკაციის ფორმაც. „ფორტუნა“ დღევანდელ რეალობას კარგად მოერგო. ძალიან მიყვარს გადაცემა „ლიმონი“, რომელიც ცოცხალი და ინტერაქტიულია. კიდევ ერთი გადაცემა, რომელიც მიმყავს, „ჰიტების გალერეაა“. ეს ჩემი ინტელექტუალური საკუთრება არაა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია მე მიმყავს. ახალი სეზონიდან კიდევ უფრო საინტერესო პროექტებს ვგეგმავთ, და მათ შორის ერთ-ერთი, „ფორტუნას“ დილა იქნება.

**სამი სიტყვით დაახასიათეთ „ფორტუნა“...**

**ნია** ერთი სიტყვა აუცილებლად „ღიმილი“ იქნება.

**ნიკა** ღიმილიანი, იღბლიანი და მიმზიდველი.

H

ტექსტი: ნინუცა მაისურაძე. ფოტო: HELLO!

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი ნანკა კიკალია

რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის რედაქტორის ასისტენტი კესო ლელუაშვილი
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
სტილისტის ასისტენტი ნანუკა კოშაძე
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე, ნინუცა მაისურაძე, ნათია რუხაძე
დიზაინერის ასისტენტი თამარ ცაგარეიშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ**.: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.


Radisson BLU
IVERIA HOTEL, TBILISI
შემოგვიერთდით
სასტუმრო რადისონ
ბლუ ივერიას
ღია აუზზე
POOL
PARTY
ყოველ
კვირა
დღეს
დასაწყისი: 14:00 საათი / მუსიკა: DJ SET
მეტი ინფორმაციისთვის
დაგვიკავშირდით:
T: +995 322 402 200
შემოსვლა: 40 ლარი



www.facebook.com/ioverdegeo

IO VERDE

# ვერტიკალური ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში